პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 240 (15453)

12 ოქტომბერი ხუთშაბათი 1972

ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია

მეცხრე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე პარტიის მიერ დასახულ რთულ და პასუხსაგებ ამოცანათა გადაწყვეტაში სულ უფრო მეტი წონა და მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, მათს აქტივობაზე, ინიციატივაზე, ადამიანთა შეკავშირების უნარზე, იმ უნარზე, რომ მთავარი ყურადღება დაუთმონ ძირითადს, დაამკვიდრონ ახალი, მოწინავე, არ დაიბნენ მძიმე ვითარებაში, ბევრად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა და ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლის წარმატება.

ამის მკაფიო დადასტურებაა როსტოვის ოლქის ზერნოგრადის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება. ამ მუშაობის ღრმა, ყოველმხრივი ანალიზია მოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამოქვეყნებულ დადგენილებაში.

რით არის დამახასიათებელი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის — ამ უდიდესი მრავალდარგოვანი მეურნეობის კომუნისტთა პრაქტიკა, კოლმეურნეობისა, რომელიც მდებარეობს ხშირი გვალვებისა და ხორშაკის ზონაში? უწინარეს ყოვლისა, როგორც ეს აღნიშნულია დადგენილებაში, არის მუდმივი ზრუნვა იმისათვის, რაც განსაზღვრავს კოლმეურნეობის სახესა და შემდგომი განვითარების გზებს, — ტექნიკური ბაზის ხელახალი აღჭურვა, მიწის, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენება, სწორი თესლბრუნვა, რწყვა, ფერმების კომპლექსური მექანიზაცია, სამეურნეო ანგარიშის განყოფილებანი, რგოლების სისტემა, მართვის სადისპეტჩერო სამსახური — ყოველივე ეს გულისხმობს პარტიული კომიტეტისა და მეურნეობის გამგეობის მრავალმხრივ მუშაობას, რომელიც ითვალისწინებს ხვალინდელი დღის პერსპექტივებს, ყოველივე ეს გულისხმობს კოლმეურნეობის ორასზე მეტი კომუნისტის ინიციატივას, ნებისყოფასა და სიბეჯითეს, რომელთაგან 80 პროცენტი უშუალოდ მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში მუშაობს.

მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთა შიდასაკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, აამაღლა პარტიული და საკოლმეურნეო კრებების, განყოფილებებისა და ფერმების საბჭოების როლი, მოფიქრებულად და უნარიანად არჩევს კადრებს, მუშაობს ახალგაზრდობასთან, რაც ნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანთა შრომითსა და პოლიტიკურ აქტივობაზე, კოლმეურნეებისათვის მეურნის, საქმის საერთო მდგომარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მიზანმიმართულმა ღონისძიებებმა აამაღლეს მისი ავტორიტეტი და გავლენა კოლექტივში, აქტიურად შეუწყეს ხელი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, მისი ეკონომიკის განმტკიცებას, სოფლის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურის ამაღლებას. მიმდინარე წლის ძლიერი გვალვის პირობებშიც კი კოლმეურნეობაში ყოველ ჰექტარზე აღებულია საშუალოდ 21 ცენტნერი მარცვლეული, 15 ცენტნერი მზესუმზირა, შარშანდელზე მეტია დამზადებული უხეში და წვნიანი საკვები.

ამასთან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა კოლმეურნეობის კომუნისტთა საქმიანობის სუსტი მხარეებიც. პარტიული კომიტეტი ყოველთვის ჯეროვანი მომთხოვნელობით როდი უდგება მეურნეობის მუშაობისა და თავისი მუშაობის შედეგების შეფასებას, ხშირად კმაყოფილდება მიღწეულით, თუმცა რეზერვები სრულად არ არის გამოყენებული. ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას დაავალა კიდევ უფრო გააძლიეროს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ მარტო ამ მეურნეობის კომუნისტებს როდი ეხება. შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც დადგენილება შეიცავს, მასში ჩამოყალიბებულ ამოცანებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყველა სასოფლო პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელთა მოვალეობაა დარაზმონ მთელი ძალები მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

თვითეულ მეურნეობაში საქმეებს ისე უნდა გავუძღვეთ, რომ სახსრების ნაკლები დანახარჯებით მივიღოთ მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები, — სწორედ ასეთი ორიენტირი უნდა ჰქონდეს კოლექტივს შემოქმედებითი ძიებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებას, მორალურ სისტემასა და შრომისადმი მატერიალურ სტიმულებს.

უპირველესი მნიშვნელობის საქმე მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებაა, რათა არა მარტო შევასრულოთ მტკიცე გეგმა, არამედ სახელმწიფოს ხუთწლეულში მივყიდოთ სულ ცოტა მარცვლეულის 35 პროცენტი გეგმის გადაჭარბებით, ბევრ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში მწვავე პრობლემა კვლავ არის მეცხოველეობა, განსაკუთრებით მისი საკვები ბაზა. ამ საქმეშიც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უფრო სრულად უნდა განახორციელონ კონტროლი კოლმეურნეობათა გამგეობების საქმიანობისადმი, გაამახვილონ იგი ეკონომიკის განვითარების, წარმოების, სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ძირითადი საკითხებისადმი. მთავარი ამოცანაა განუხრელად დავიცვათ სახელმწიფოს ინტერესები, ავამაღლოთ თვითეულის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმებისა და დავალებების უთუო შესრულებისათვის.

ბევრ რამეს განსაზღვრავს კადრებთან მუშაობის მდგომარეობა. საჭიროა, რომ მათი დაწინაურება, განაწილება და სწავლება წარმოებდეს პერსპექტივის გათვალისწინებით, რათა ყოველი ღონისძიებით მაღლდებოდეს სპეციალისტთა როგორც წარმოების ორგანიზატორთა და ტექნოლოგთა როლი. კომუნისტთა მთელი პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს სოფლის მშრომელთათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სათუთი დამოკიდებულების ჩანერგვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კოლექტივებში ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რათა თვითეულმა იცოდეს, თუ ვინ როგორ მუშაობს, თვითეულს დამსახურებისამებრ მიეზღოს.

რთული ამოცანების მთელი კომპლექსის წარმატებით დაძლევის უნარი შესწევს მხოლოდ კომუნისტთა შეკავშირებულ, მებრძოლ, მიზანდასახულ კოლექტივს. პირველადმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ პარტიული დოკუმენტების მომავალი გამოცვლა თავიანთი რიგების განმტკიცებისათვის, კომუნისტთა აქტივობისა და დისციპლინის ამაღლებისათვის, კოლექტივის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე პარტიული გავლენის გაძლიერებისათვის.

ქვეყნის მინდვრებში საცაა დამთავრდება ხუთწლედის მეორე წლის ალოობა, ბევრ რაიონში ეს წელი გახდა სოფლის მშრომელთა კოლექტივების სიმწიფისა და შეკავშირების, მათი ორგანიზებულობის, ნებისყოფისა და ძნელი ამინდის პირობებში მოსავლისათვის მტკიცედ ბრძოლის უნარის მკაცრი შემოწმება. სოფლის კომუნისტთა უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ყველაფერი იღონონ, რათა სოფლის მშრომელებმა ბოლომდე გაუძლონ ამ გამოცდას, მთლიანად აიღონ მოყვანილი მოსავალი, საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის მოსავალს და ამით ღირსეულად აღნიშნონ დიდი თარიღი სამშობლოს ცხოვრებაში — სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილე.

ПРАВДА

11 ოქტომბრის მოწინავე.

ყველა დაკვეთა — დროულად!

თელავი. (საკ. კორ.). ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას ემსახურება თელავის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა (დირექტორი გ. გიორგობიანი).

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წლის დასაწყისიდანვე დგას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო შრომით ვახტზე, ცხრა თვის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულა — გეგმით გათვალისწინებული 1.369 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვა 1.402 ათასი მანეთის პროდუქცია. ამავე პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც.

ა. თვალიაშვილი.

გამოცდა მინდვრად

დავაჩქაროთ თესვის ტემპი

ოქტომბრის მეორე ხუთდღიურში შედარებით გაძლიერდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის ტემპი. თუ 2 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში დათესილი იყო 30.982 ჰექტარი, 9 ოქტომბრისათვის ეს მაჩვენებელი 53.441 ჰექტარს უდრიდა, რაც გეგმის 31 პროცენტს შეადგენს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 9 ოქტომბრის ცნობები ნათლად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ჩამორჩენაა თესვაში. აგროვადების გასვლამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დრო დარჩა. საფიქრებელია, თუ როგორ მოასწრებენ მხვნელ-მთესველები დარჩენილი 118.000 ჰექტარის დათესვას!

ცხადია, თუ ყოველ ღონეს ვიხმართ, დარჩენილ დროში თვითეულ დღეს და საათს მთელი დატვირთვით გამოვიყენებთ, დავალება უთუოდ შესრულდება. მაგრამ ეს ბოლო დღეებში კი არ უნდა გაკეთდეს, არამედ ამთავითვე უნდა დავრაზმოთ ძალები იმისათვის, რომ გეგმა დროულად შესრულდეს.

ვინ როგორ ასრულებს თესვის დავალებას? ახალქალაქის რაიონმა, რომელსაც 5 ოქტომბრამდე უნდა შეესრულებინა თესვის გეგმა, კარგად იმუშავა და დავალება 106 პროცენტით გაანაღდა. ასპინძელებს გეგმა შესრულებული აქვთ 86 პროცენტით, ქარელებს — 61, გორელებს — 53, საგარეჯოელებს — 52, ახმეტელებს — 43, ადიგენელებს — 43, კასპელებს — 35, თელაველებს — 38, გარდაბნელებს — 40, დმანისელებს — 44, თიანეთელებს — 59, მარნეულელებს — 37 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის მხვნელ-მთესველებს — 43 პროცენტით. ეს მაჩვენებლები ცუდი როდია.

მთელ რიგ რაიონებში თესვა ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. წითელწყაროელებმა წელს ყველაზე მეტი უნდა დათესონ. 9 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 3.143 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24.970 ჰექტარისა. მათ დიდი ჯაფა მოუწევთ თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის. სიღნაღის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 20.032 ჰექტარიდან დათესილია 2.988 ჰექტარი.

გურჯაანის რაიონში თესვის გეგმა შესრულებულია 33 პროცენტით, საშურის — 22, ყვარლის — 19, ლაგოდეხის — 26, მცხეთის — 24, ბოლნისის — 12, თეთრი წყაროს — 16, ხოლო დუშეთის რაიონში — 24 პროცენტით.

ყოველი დღე თესვის დამაკვრელურ დღეებად გამოვაცხადოთ! არ დავუშვათ უხარისხო თესვა, მტკიცედ დავიცვათ აგროტექნიკის მოთხოვნები!

მხარდამხარ შრომობენ

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მხარდამხარ შრომობენ 40 ეროვნების წარმომადგენლები. **სურათზე:** მარცხნივ — მარტენის საამქროს მოწინავე მუშები, კომკავშირელები ჩამომსხმელი იური მარგალიტაძე და ღუმელების მემონტაჟე კონსტანტინე პოპოვი; მარჯვნივ — მარტენის საამქროს მილები.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მომავალი წლის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ქართველი მაღაროელები, რომლებიც მოძმე უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, საიუბილეო შრომით ვახტზე დგანან და პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს სკრეპერის მემანქანემ ბ. ნეფარიძემ უკვე შეასრულა საიუბილეო წლის დავალება და მომავალი წლის ანგარიშში სამშობლოს მისცა 1.125 ტონა მარგანეცი. ექსკავატორის მემანქანემ ელ. მაჭარაშვილმა წლიური გეგმის გადამეტებით დატვირთა 9.087 ტონა მარგანეცი. მბურღავმა ვ. ლომიძემ 1973 წლის ანგარიშში 375 ტონა მადანი მოანგრია.

პ. ჭიოკაძე.

კრემლის დიდ სასახლეში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით 10 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაიმართა ირანის შაჰინშაჰ **მოჰამედ რეზა ფეჰლევისა** და დედოფალ **ფარაჰ ფეჰლევის** პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი,** სხვა ოფიციალური პირნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, მიმართა რა დამსწრეთ, თქვა, რომ ყველა საფუძველი გვაქვს კმაყოფილება გამოვთქვათ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის გამო. მეგობრობა და კეთილმეზობლობა — აი რა განსაზღვრავს დღეს ამ ურთიერთობის ხასიათს.

საბჭოთა და ირანელ ხალხებს, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, მშვიდობისადმი მისწრაფება აერთიანებთ. ჩვენ ერთნაირად გვესმის, რომ საჭიროა წინსვლა ისეთი აქტუალური საკითხების გადაწყვეტის გზაზე, როგორიცაა ომის კერების ლიკვიდაცია, განიარაღების დარგში მომწიფებულ ღონისძიებათა განხორციელება, კოლონიალიზმის ნაშთების მოსპობა.

საბჭოთა კავშირი აქტიურად და თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებულ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამას.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის ურთიერთობას სამხრეთ მეზობლებთან — ირანთან, ავღანეთთან, თურქეთთან და მახლობელი რაიონის სხვა სახელმწიფოებთან, ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის სულისკვეთებით ვითარდება. საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ აქ განლაგებულ ქვეყნებს შორის დამყარებული იყოს ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა, ვითარდებოდეს ურთიერთხელსაყრელი კავშირი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ რაიონის სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხები წყდებოდეს მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით, ხალხთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

საბჭოთა კავშირს, რომელიც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად აქტიურად იბრძვის ხალხთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის, თავის მთავარ მიზნად მიაჩნია შექმნას ხელშემწყობი ვითარება მათი შემოქმედებითი, შრომისათვის, ხალხთა მასების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

მეგობრობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის ლენინური იდეები, რომლებმაც ერთიან ძმურ ოჯახად შეადუღაბეს საბჭოთა ხალხები, განმსაზღვრელია საზღვარგარეთის სახელმწიფოების, მათ შორის ირანისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ხალხებთან ჩვენი ურთიერთობისათვისაც.

ნ. ვ. პოდგორნიმ გამოთქვა რწმენა, რომ ირანის შაჰინშაჰის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და მსოფლიო პოლიტიკის მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებზე დაწყებული აზრთა გაზიარება ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ირანს შორის მეგობრული კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და ნაყოფიერი თანამშრომლობის გაფართოებას ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ. ჩვენი ურთიერთობა, თქვა მან, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე წინათ ჩვენი ქვეყნების ისტორიაში, ემყარება მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და მჭიდრო თანამშრომლობის საფუძვლებს. ჩვენი შეგვიძლია დღევანდელ სამყაროში ორი ქვეყნისა და ორი ხალხის კეთილმეზობლობის ნიმუშად მივიჩნიოთ ჩვენი ურთიერთობა. ურთიერთგაგებისა და რეალიზმის ამ სულისკვეთების შედეგად ორი ქვეყნის საზღვარი ახლა მშვიდობისა და მეგობრობის საზღვარი გახდა, და ეს გარემოება არა მარტო სასარგებლოა ჩვენი ქვეყნებისათვის, არამედ ამავე დროს ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო სიმშვიდეს.

ირანის შაჰინშაჰმა შემდეგ აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ნაყოფიერი მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება ორი ქვეყნის კულტურული გაცვლის ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში, რომელიც ხელმოწერილ იქნება ახლანდელი ვიზიტის დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში. როგორც ცნობილია, ურთიერთღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ 5 წელიწადში ხუთჯერ მეტად გადიდდა საქონელგაცვლის მოცულობა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის, შეთანხმება უახლოესი 15 წლისათვის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების შესახებ, რომელსაც ახლო ხანში მოაწერეს ხელი ჩვენმა ორმა ქვეყანამ, კიდევ უფრო გაადიდებს საქონელგაცვლის მოცულობას.

ჩვენს ქვეყანაში, თქვა ირანის შაჰინშაჰმა, კმაყოფილებით, მოწონებითა და სიხარულით ვადევნებთ თვალს საბჭოთა კავშირის წარმატებულ ღონისძიებებსა და მიღწევებს. მან სულ უფრო დიდი წარმატებანი და პროგრესი უსურვა საბჭოთა კავშირის ხალხებს ამ ღონისძიებებსა და მისწრაფებებში და იმედი გამოთქვა, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება და განმტკიცდება ორი ქვეყნის მეგობრობა და თანამშრომლობა.

ნ. ვ. პოდგორნისა და მოჰამედ რეზა ფეჰლევის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს, სიტყვების დროს გაისმოდა ტაში.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ირანის მოლაპარაკება

11 ოქტომბერს კრემლში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ნ. ვ. პოდგორნისა** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** მოლაპარაკება ირანის შაჰინშაჰ **მოჰამედ რეზა ფეჰლევისთან.**

ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით გაიმართა როგორც ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემების, ისე ორმხრივი კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს საბჭოთა კავშირისა და ირანის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებები და პერსპექტივები უახლოეს წლებში.

ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

11 ოქტომბერს მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი. (საკდესი).

სასარგებლო მოლაპარაკება

კონსულტაციები სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის

სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის აზრთა გაზიარებისა და კონსულტაციების მოწყობის შესახებ არსებული შეთანხმების შესაბამისად 8-10 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივანი ე. ბარი. ე. ბარი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მან ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტის წერილი. ე. ბარი ესაუბრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

შეხვედრის დროს განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებას პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში ორივე სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ შესაძლებლობათა, აგრეთვე სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გათვალისწინების საფუძველზე.

ორმხრივი ურთიერთობის ცალკეული პრაქტიკული საკითხების განხილვისას აღინიშნა, რომ სასარგებლოა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა რეგულარული შეხვედრები სხვადასხვა დონეზე და რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი შეხვედრების განგრძობას მომავალში. ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მუშაობას შეუდგა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისია და რომ იქ განიხილავენ, მაგალითად, ისეთ დიდ საკითხებს, როგორიც არის მეტალურგიული კომბინატის ერთობლივი მშენებლობა, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების სექტორში. გამოითქვა იმედი, რომ კომისიის საქმიანობა ხელს შეუწყობს დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ფირმების, მათ შორის პატარა და საშუალო ფირმების მონაწილეობას თანამშრომლობაში. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ თანახმაა მისცეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმებს შესაძლებლობა დამატებითი წარმომადგენლობანი გახსნან მოსკოვში.

მიღწეულია პრინციპული შეთანხმება ორივე ქვეყნის საელჩოთა სამხედრო ატაშეების გაცვლის შესახებ, შესაბამისად მოსკოვსა და ბონში.

აზრთა გაზიარების დროს დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიც არის ევროპის თანამედროვე მდგომარეობა და უწინარეს ყოვლისა შემდგომ ღონისძიებათა განხორციელება ევროპის უშიშროების, ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საუბრები მიმდინარეობდა გულახდილობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

ჩვენს დიად სამშობლოში

სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის დღეები საქართველოში

აი—ის ჩვენი მეგობრობა!

სოხუმი. 11 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). შემოდგომის ყვავილებით შეეგება სოხუმი მოძმე ლიტერატურათა წარმომადგენლებს — ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ცნობილ პოეტებს, საქართველოში სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის დღეების მონაწილეებს.

დიდი საღამო გაიმართა აფხაზეთის ფილარმონიის თეატრში. იგი გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბ. შინკუბამ.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა კონსტანტინე სიმონოვმა. მან წაიკითხა თავისი ცნობილი ლექსი „მელოდი" და ქ. კალაძისა და ბ. შინკუბას ნაწარმოებთა თარგმანები.

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ აღნიშნა, თუ რა როლს ასრულებს პოეტური სიტყვა საბჭოთა ადამიანის კომუნისტურად აღზრდაში, ილაპარაკა სსრ კავშირის ლიტერატურების მეგობრობაზე. გ. აბაშიძემ წაიკითხა თავის მიერ თარგმნილი კ. სიმონოვის ლექსი მებრძოლი ვიეტნამის შესახებ.

ლექსები წაიკითხეს ესტონელმა პოეტმა რუდოლფ რიმერმა, სომეხმა აშოტ გრაშიმ, ბაშკირმა რამილ ხაკიმოვმა, ესტონელმა პაულ რუმომ, მოსკოველმა ფაზილ ისკანდერმა. „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელმა ჰ. ბუდენზიკმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) აღნიშნა შოთა რუსთაველის პოეტური სიტყვის დიადი ძალა.

საღამოზე გამოვიდნენ ი. თარბა, ბ. შინკუბა, ნ. თარბა, შ. აკობია, პროფესორი გ. ციციშვილი და სხვები.

ბათუმი, 11 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). გულთბილად, ძმურად შეხვდნენ აქ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს.

აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის საღამო. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

საბჭოთა პოეზიაზე, საბჭოთა პოეტის — თანამედროვეობის მგზნებარე მომღერლის დანიშნულებაზე ილაპარაკა კრიტიკოსმა ბ. ჟილინსკიმ. მრავალრიცხოვანმა მსმენელებმა ტაშით დააჯილდოვეს თავიანთი საყვარელი პოეტები. ლექსები წაიკითხეს მ. ლუკონინმა, ა. ტარკოვსკიმ, მ. დუდინმა, ს. ჯუსუევმა, რ. ბაბაჯანმა, გ. როშკამ, ე. ლოსმა, ქართველმა პოეტებმა ფ. ხალვაშმა, რ. მარგიანმა, ა. შენგელიამ, ნ. მალაზონიამ, ლ. სულაბერიძემ, შ. ამისულაშვილმა.

სტუმრები შეხვდნენ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეებს, ბათუმელ მენავთობეებს, დაათვალიერეს გონიო — პირველი საუკუნის კოლხური ციხე-სიმაგრე, ესტუმრნენ მესაზღვრეებს.

ლანჩხუთი, 11 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). რაიონის ყველა მცხოვრები გამოვიდა საბჭოთა პოეზიის ოსტატებთან შესახვედრად.

თეატრი, სადაც გაიმართა ლიტერატურის საღამო, ხალხით იყო სავსე — პოეზიის მიმართ გულგრილი არავინ არ დარჩენილა. პიონერებმა და მოსწავლეებმა ძვირფას სტუმრებს ყვავილები მიართვეს და გულწრფელად უსურვეს ჯანმრთელობა, დიდი შემოქმედებითი წარმატებანი. ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარის რ. ებრალიძის გულთბილი მისალმების შემდეგ სტუმართა შემოქმედებაზე ილაპარაკა მწერალმა გ. ჯოგიჩაიშვილმა. ლექსები სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობისა და ძმობის შესახებ წაიკითხეს ვ. კოროტიჩმა და ი. დრაჩმა, გ. უმარბეკოვმა და ი. მაციაევიჩიუსმა, ი. პეტერსმა და ტ. ჭანტურიამ.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა წაიკითხა საღამოს მონაწილე სტუმართა ლექსების თავისი თარგმანები.

ზუგდიდი, 11 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის დღეების მონაწილენი. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში გაიმართა გულითადი საუბარი. სტუმრებს მიესალმა სოციალისტური შრომის გმირი ი. ქანთარია.

შემდეგ პოეტები შეხვდნენ თავიანთ მკითხველებს. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ქირიამ. სტუმრებს მიესალმნენ რაიონული გაზეთის რედაქტორი ი. ქორთუა, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილენი დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან სტუმრებს — რ. რზას და ო. ამინოვას, რ. ალიევსა და ი. ბელოუსოვს, ი. ხელემსკის, ნ. გურეშიძესა და ხ. ბერულავას.

შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა.

საქართველოში სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის დღეების მონაწილეთა ყოფნის მეექვსე დღე დაიწყო სტუდენტ ახალგაზრდობასთან ამაღელვებელი შეხვედრებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის სახელით გულითადად მიესალმა სტუმრებს.

გულში ჩამწვდომი იყო საქართველოს ერთ-ერთი უხუცესი მეცნიერის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანის გამოსვლა.

გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს პროფესორებმა ვ. შადურმა და ს. ხუციშვილმა.

სტუმრებს უკრაინულ ენაზე მიესალმა სტუდენტი ა. მგელაძე.

ეს შეხვედრა გაჟღენთილი იყო პოეზიით. დარბაზი ოვაციით შეხვდა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის კ. სიმონოვის გამოსვლას, რომელმაც წაიკითხა თავისი ლექსი „დიასახლისი". ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან უკრაინელი პოეტი ვ. კოროტიჩი, უზბეკი ლირიკოსი ჰ. გულიამი, ბაშკირი პოეტი რ. ხაკიმოვი, მათი ქართველი თანამოკალმენი გ. აბაშიძე, ფ. ხალვაში, მ. ქელივიძე, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ლექსები და თარგმანები.

პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა სტუმრებს გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის აღსანიშნავად ჩამოსხმული საიუბილეო მედლები.

ასეთივე შეხვედრები მოეწყო აგრეთვე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში და თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები აქტიურობენ...

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

ჯერ კრება არ დაწყებულიყო... პარტბიუროს მდივნის კაბინეტში ათიოდე კომუნისტს მოეყარა თავი. ყველას რაღაც საქმე გამოეჩინა. ზოგი კომუნისტთა გამოცხადებას აზუსტებდა, ზოგი საარჩევნო ბიულეტენებისათვის ქაღალდს იმარჯვებდა. ზოგიც საარჩევნო ყუთს ამზადებდა. დარჩენილ წუთებს ყველაზე მეტად პარტბიუროს მდივანი განიცდიდა. იმიტომ, რომ ეს იყო მისი პირველი ანგარიში საერთო კრების წინაშე.

— ძია გიორგი, რას აპირებთ, როდემდის უნდა იყოს საავურე გაჩერებული, — შეეკითხა პარტბიუროს მდივანი დერეფნის სვეტზე მიყრდნობილ ხანშიშესულ კაცს.

— როცა ძრავს ამუშავებთ, — მკვახედ უპასუხა მდივანს და თვალებში ჩახედა. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

— მერე და მე უნდა ავამუშავო თუ თქვენ?!

— მაგას ახლა გავარკვევთ, კრებაზე...

— კრებამდეც შეიძლებოდა... ჩაილაპარაკა პარტბიუროს მდივანმა და გატრიალდა, თან ჩაილაპარაკა, ვეღარ გავიგე, სიმართლე ყველას სწყინს. გასულ კრებაზე გავაკრიტიკე და ახლა ერთი სიტყვა აღარ დამითმო.

ამ სიტყვებს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორმა მოჰკრა ყური და ამბავი იკითხა, შემდეგ ურჩია, ნურაფერზე ნუ ღელდებით.

— მართალი კაცი ქვაზე მაგარია, — მოიმარჯვა ქართული ანდაზა რაიკომის ინსტრუქტორმა და უთხრა: — საანგარიშო კრების მთავარი შინაარსი ის არის, რომ ყველა კომუნისტს თავისი მიუზღო, აღნიშნოს, თუ როგორ ასრულებს ის საწესდებო მოთხოვნებს, თავის უფლება-მოვალეობას, უფრო მეტი უნდა ვთქვათ იმაზე, რაც გასაკეთებელია.

— „პარტიის წევრი მოვალეა იბრძოდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იყოს ყოველივე ახლის პროგრესულის წამომწყები...

„ეს სიტყვები გასდევდა წითელ ზოლად მთელს საანგარიშო მოხსენებას, რომლითაც სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ომარ ზურაბაშვილი გამოვიდა.

— პარტიული ბიურო მთელ თავის საქმიანობაში — თქვა მან, — ხელმძღვანელობდა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კოლმეურნეობის გამგეობასთან, ყველა კომუნისტთან ხელიხელჩაკიდებული იბრძოდა კოლმეურნეობის წინაშე დასმული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. და აი შედეგიც: კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 4.970 ტონის ნაცვლად 7.183 ტონა მარცვლეული აწარმოვა, სახელმწიფოს მიჰყიდა 2.715 ტონა, რითაც შესრულა ხუთწლედის დავალება. ასევე თვალსაჩინო მიღწევებია მზესუმზირას, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში. ამ მხრივ გასულ წლებში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობას საკავშირო გარდამავალი დროშა და ბევრი სხვა ჯილდო აქვს გადაცემული.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოწინავეთა შორის დაასახელეს მემინდვრეობის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი გიორგი გოზალიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 605 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე 41 ცენტნერი ხორბალი მიიღო. წარმატებით შესრულა მზესუმზირას, ყურძნის და აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმები; ასეთივე სასახელო მაჩვენებლები აქვთ მწველავ მიხეილ ტუხაშვილს, მეღორე ბიძინა გელაშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ მექანიზატორებს ფ. ბოქოლიშვილს, ს. ბენაშვილს და სხვებს.

— წარმატებებზე დაწყნარებით არ შევჩერდებით, — თქვა მომხსენებელმა. კოლმეურნეობა რომ მოწინავეა რაიონში, ცხადია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდი ნიშნავს ყველაფერს. მაგალითი უნდა ავიღოთ ჩვენი ქვეყნის იმ მოწინავე მეურნეობებისაგან, რომლებსაც პროდუქციის ერთეულის წარმოებაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ. გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს გონივრულად რომ გამოეყენებინა არსებული რეზერვები, მტკიცედ განეხორციელებინა კოლმეურნის საწესდებო მოთხოვნები.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ყურძნის უკეთესი მოსავალი მოიყვანეს იმ მევენახეებმა, რომლებმაც ამოფხვრეს სიმეჩხრე, უკეთესად მოუარეს მოყინულ ვაზს, ხოლო მემინდვრეობაში — იმ ბრიგადებმა, რომლებმაც დაიცვეს ხვნა-თესვის ნორმები, დროზე შეიტანეს სასუქები. მეცხოველეობაში წარმატებას ზეიმობენ ისინი, რომლებმაც მოაწყეს ფერმისპირა ნათესები და გააუმჯობესეს ბუნებრივი საძოვრები. აი სწორედ ეს ის რეზერვებია, რომლებსაც ყველა ერთნაირად არ იყენებს.

მომხსენებელმა პერსონალურად დაასახელა ის კომუნისტები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საკოლმეურნეო შრომაში.

— კოლმეურნეობის სელექციონერ-ზოოტექნიკოსი ბიძინა ტუხაშვილი მიმდინარე წლის თებერვალში მოხსნილ იქნა მუშაობის ჩაშლისათვის. მას შემდეგ მან ზურგი შეაქცია კოლმეურნეობას. ახლა კი მეღორეობის სასუქი ბრიგადის ხელმძღვანელად დანიშვნას ითხოვს. ბესო პეტრიაშვილი, როგორც კი საპენსიო ასაკი შეუსრულდა, კოლმეურნეობას გაშორდა, თუმცა საკუთარ ვენახს კარგად ამუშავებს. განა ასე უნდა იქცეოდნენ კომუნისტები?!

ერთ-ერთი მთავარი საწესდებო მოთხოვნაა ის, რომ კომუნისტი სისტემატურად იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს. მომხსენებელმა, კამათის მონაწილეებმა — გ. გელაშვილმა, ო. სართანიამ და სხვებმა კონკრეტული ფაქტები მოიყვანეს, რომ პოლიტიკური განათლების ქსელში, სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ის ამხანაგები იჩენენ აქტივობას, რომლებიც სამეურნეო საქმეშიც მოწინავენი არიან. მათ ამხილეს ის კომუნისტები, რომლებიც თავს არიდებენ მეცადინეობებს, ფორმალურად ეკიდებიან მიცემულ პარტიულ დავალებას. ამ საქმეში პარტბიუროც გააკრიტიკეს. რას შეიძლება მიეწეროს, თუ არა ფორმალობას, რომ პოლიტინფორმატორობა მევენახეობის № 5 ბრიგადაში დაკისრებული აქვს 72 წლის მცირემცოდნე ა. თათარიშვილს, აგიტატორობა კი 67 წლის მცირემცოდნე ზ. ბალიაშვილს. განა არ მოიძებნებიან უფრო მცოდნენი და ახალგაზრდები ამ ბრიგადაში?!

პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ პერიოდში გარკვეული მუშაობა გასწია პარტიული დოკუმენტების გაცვლის მომზადებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად. ამ საკითხზე საანგარიშო კრებაზეც იმსჯელეს.

— პარტიის რაიკომში კომუნისტთა პირადი საქმეების შედარებისას — თქვა პარტბიუროს მდივანმა ო. ზურაბაშვილმა, — დიდ კურიოზებს წავაწყდით. კომუნისტთა ერთ ნაწილს მოუხსნელი ჰქონდა ოთხი-ხუთი წლის წინათ დადებული სასჯელი. უფრო მეტიც. ზ. ჭოტაშვილს პარტიის რიგებში შესვლის დროს დამალული ჰქონდა ნასამართლობა. ამას წინათ, განვიხილეთ მისი პერსონალური საკითხი და პარტიული სასჯელი დავადეთ როგორც ზ. ჭოტაშვილს, ისე მის რეკომენდატორებს.

როცა საკითხი ეხებოდა კომუნისტების ავანგარდულ როლს, მის აქტივობას პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, ისიც ითქვა, რომ კომუნისტთა ერთი ნაწილი შეუწყნარებელ პასიურობას იჩენს. წლების განმავლობაში არ გამოდის კრებაში მაშინაც კი, როცა საკითხი უშუალოდ მას ეხება. რამდენიმე შეხსენება სჭირდება საწევრო შესატანის გადახდაზე, ყოველთვიური აღნიშვნისათვის პარტიული ბილეთის მოტანაზე და სხვ.

აი ახლაც კრებაზე ეგრეთწოდებული „შტატიანი ორატორები“ სჭარბობდნენ. ვინ არიან ისინი? კოლმეურნეობის აგრონომი, ზოოტექნიკოსი, მექანიზატორი, ბრიგადირები, ფერმების გამგეები.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ კომუნისტის გამოსვლას, მის სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას ყურს უგდებენ, მის ნათქვამს პრაქტიკული საქმით განამტკიცებენ. აგრონომმა ი. ნაცვლიშვილმა კი კრებაზე კვლავ გულისტკივილით თქვა, მემინდვრეობის № 1 და № 2 ბრიგადებმა კარგახანია შეიძინეს მექანიზებული კალოსათვის საჭირო მანქანა-დანადგარები, ადგილზე მიყვანილია ელდენი, დადგმულია ტრანსფორმატორი, მაგრამ დენის ჩართვა ვერ მოხერხდა. ამაზე რამდენჯერმე ითქვა პარტიულ კრებაზე, მაგრამ საქმეს ძვრა არა აქვს. ასეა აგურის ქარხნის საქმეც.

ბევრი რამ ითქვა ამ კრებაზე იმის შესახებ, თუ პარტიულმა ბიურომ, კომუნისტებმა რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება მომავალში. ყველაფრის თქმა ძნელია. ერთი კი ცხადია, რომ მათი მსჯელობა, სიტყვა მიზანს ხვდებოდა, პირდაპირი და ჯანსაღი კრიტიკის შინაარსს იღებდა. რა თქმა უნდა, იგი გამოიწვია კონკრეტულმა და მიზანსწრაფულმა მოხსენებამ.

ბოდბისხეველ კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა.

საანგარიშო-საარჩევნო კრება მარტო გაწეული მუშაობის შეჯამებას როდი „იმკის“. იგი ის დიდი საშუალებაა, სადაც საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შეჯამებასთან ერთად კომუნისტები ანალიზს უკეთებენ როგორც მიღწევებს, ისე ნაკლოვანებებს, კრიტიკული თვალით აფასებენ მოვლენებს, სახავენ ახალ გზებს, რომლებითაც მომავალ საანგარიშო პერიოდში უნდა იარონ.

ბოდბისხეველმა კომუნისტებმა დასახეს შემდგომი მუშაობისათვის საჭირო ღონისძიებანი და იმ რწმენით წავიდნენ კრებიდან, რომ კეთილ საქმეს, ჯანსაღ კრიტიკას კარგი შედეგი მოსდევს, რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მეტი წვლილის შესატანად საჭიროა თვითეული კომუნისტის დიდი მონდომება და ინიციატივა, სულ უფრო მზარდი აქტივობა.

ვლ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მივლინება მკითხველის თხოვნით

ათი კილომეტრი ფეხით?!

რედაქციაში ბავშვური ხელით ნაწერი პატარა ბარათი მოვიდა. წერილს თითქმის უცვლელად ვბეჭდავთ:

„გაწუხებთ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ შავსაყდარში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები. გთხოვთ მოგვისმინოთ და იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ.

როგორც მოგახსენეთ, ვცხოვრობთ სოფელ შავსაყდარში და ვსწავლობთ სოფელ ასურეთის საშუალო სკოლაში. ოდითგანვე ჩვენს სოფელში იყო მხოლოდ დაწყებითი სკოლა. მეოთხეკლასელებიდან მოყოლებული უფროსკლასელებამდე დავდივართ ასურეთში. გავდივართ დილის 7 საათზე და ვბრუნდებით საღამოს ხუთ საათზე. ყოველდღე ფეხით 10 კილომეტრის გავლა გვიხდება.

არ იფიქროთ, თითქოს არავინ იცოდეს ეს ამბავი. ყოველდღე ხედავენ ამას ჩვენი სოფლის თავკაცები, შეგვპირდნენ, მანქანას გამოგიყოფთო, მაგრამ შეპირება შეპირებად დარჩა. ჯერ მშრალი ამინდებია და ასე გვიჭირს, რა გვეშველება ზამთარში?!“.

ამ წერილთან დაკავშირებით საკითხის შესასწავლად ჩავედით თეთრი წყაროს რაიონში და აღმოჩნდა, რომ შავსაყდრიდან 40 ბავშვი მიმდინარე წლის სექტემბრიდან მართლა ფეხით დადის ასურეთის საშუალო სკოლაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ კოლმეურნეობის მანქანამ ისინი რამდენჯერმე გადაიყვანა ასურეთში.

ასე გაუძნელდებათ ბავშვებს სწავლა

◆

ასურეთის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში შედის სოფელი შავსაყდარიც. სწორედ შავსაყდრელია კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ო. ყაზიშვილი, მისი ოჯახიდანაც დადიან ბავშვები სკოლაში და საინტერესოა რატომ ის მაინც არ დაინტერესდა ამ ამბით...

არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება — სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო კანტორების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელები და სხვ. ვალდებული არიან უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ბავშვების უფასო მგზავრობა სკოლებამდე და უკან. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 1965 წელს უმსჯელია თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს და შესაბამისი დადგენილებაც მიუღია. მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ დადგენილების შესრულებას, როგორც ჩანს, იშვიათად ამოწმებენ.

მართალია, უკანასკნელ წლებში ერთგვარად თითქოს მოგვარებული ყოფილა შავსაყდრიდან ასურეთის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანის საქმე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. წულუკიძემ თქვა, რომ ადრე, როცა მანქანა მოსწავლეებს სკოლიდან უკან წაიყვანდა, შავსაყდარში რჩებოდა, რათა დილით ისევ ასურეთში წამოეყვანა, მაგრამ რაიონის ავტოინსპექციამ ღია ცის ქვეშ შეუმოწმებელ ადგილას მანქანის გაჩერების უფლება არ მოგვცაო (რაც ბუნებრივია). და შეგვპირდა, რომ დღეიდან უკვე დაიწყებენ მოსწავლეთა გადაყვანას და უკან, შინ მიყვანას.

თავმჯდომარემ ისიც თქვა: თუ კი სოფელ შავსაყდარში გარაჟის აშენების უფლებას მოგვცემენ, ავაშენებთ, რაც უფრო ხელსაყრელი იქნება ჩვენთვისაც და ბავშვებისთვისაც; გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფელში 83 კომლი მოსახლეა და გაჭირვების შემთხვევაში მათთვისაც გარკვეული შეღავათი იქნება, ვინაიდან სოფელი გზიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული.

ბავშვს, რომელიც დღეში 10 კილომეტრს გაივლის, ჩინებული სწავლა როგორ უნდა მოვთხოვოთ. საინტერესოა, როგორ ეგუებოდა ამ ამბავს ასურეთის საშუალო სკოლის პედკოლექტივიც.

არც ერთი დღით, ერთი საათითაც არ უნდა დააყოვნონ ზომების მიღება აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ბავშვებზე, მათს აღზრდაზე ზრუნვა ხომ ყველა ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა!

ზ. დურგლიშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მსოფლიო დღეს

კანბერა

ურთიერთობის 30 წელი

11 ოქტომბერი. (საკდესი). ავსტრალიის დედაქალაქის საზოგადოებრიობა საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს ავსტრალიასა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ოცდაათი წლისთავს. პროფკავშირული მოღვაწენი, გამოჩენილი მეცნიერები, პოლიტიკური პარტიებისა და სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლები იყვნენ დარბაზობაზე, რომელიც ამ მოვლენის აღსანიშნავად მოაწყო „ავსტრალია-სსრ კავშირის“ საზოგადოებამ. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ავსტრალიის ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში ალან სტიუარტ უოტმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობაა ორივე ქვეყანას შორის ნაყოფიერი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზოგადოებრიობის კრებები იმართება აგრეთვე სიდნეისა და სხვა ქალაქებში.

ავსტრალიის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ უილიამ ჯორჯ მორისონმა — პარლამენტის საგარეო საქმეთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა: — ჩვენთვის ნათელია, რომ ავსტრალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საფუძვლები უნდა განვამტკიცოთ და გავაფართოოთ. ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ვაჭრობამ. წყნარი ოკეანე კი არ თიშავს, არამედ აერთიანებს ჩვენს ქვეყნებს.

პატრიოტები უტევენ

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის უშუალო სიახლოვეს. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები კვლავინდებურად ფლობენ ინიციატივას ამ რაიონში სამხედრო მოქმედების მსვლელობაში.

განმარტავს რა საქმის ვითარებას სამხრეთ ვიეტნამის ფრონტებზე, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან გადმოცემულ ცნობაში აღნიშნავს, რომ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები „კვლავ კონტროლს უწევენ მეტწილ პროვინციებს სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში“.

ჰანოი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები კვლავ მედგრად უტევენ მოწინააღმდეგეს სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალურ ნაწილში.

მარტო სექტემბერში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოსახლეობის მხარდაჭერით ცენტრალურ პლატოზე მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 5 ათასამდე ჯარისკაცი, დააზიანეს 78 სამხედრო სატვირთო ავტომობილი, ჩაძირეს ან ცეცხლი წაუკიდეს 19 სამხედრო გემს, ჩამოაგდეს 8 თვითმფრინავი.

ჰანოი. 11 ოქტომბერი (საკდესი). ლაოსის პატრიოტული ძალები აძლიერებენ შეტევით ოპერაციებს მოწინააღმდეგის ჯარისკაცების წინააღმდეგ სიენკუანგის პროვინციაში, აგრეთვე ბოლოვენის პლატოს რაიონში (სამხრეთი ლაოსი).

სამხრეთ ლაოსში მარტო ოქტომბრის ხუთ დღეში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, წინასწარი მონაცემებით, პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 120-ზე მეტი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი.

ნიუ-იორკი. 11 ოქტომბერი. (საკდესი). კამბოჯელმა პატრიოტებმა № 2 გზატკეცილის რაიონში, სამხრეთ ვიეტნამის საზღვრის მახლობლად, ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის ოთხი საყრდენი პუნქტი გარნიზონთან ერთად.

უშუალოდ კამბოჯის დედაქალაქის რაიონში, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან პნომპენიდან, პატრიოტებმა რაკეტები დაუშინეს მოწინააღმდეგის პოჩენტონგის აეროპორტის მახლობლად. ამჟამად კამბოჯელი პატრიოტები კონტროლს უწევენ ყველა გზას, რომლებითაც კამბოჯა უკავშირდება მდინარე მეკონგის დელტას (სამხრეთი ვიეტნამი).

ნიუ-იორკი

ინდიელთა ლაშქრობა

11 ოქტომბერი. (საკდესი). სხვადასხვა ტომის ინდიელებმა დაიწყეს ლაშქრობა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლები უგულებელყოფენ მათ ელემენტარულ უფლებებსა და საჭიროებებს.

ლაშქრობა ეწყობა ოცი ორგანიზაციის ინიციატივით, რომლებიც იცავენ ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის დასაცავად. ლაშქრობის მარშრუტი გაივლის ქვეყნის უდიდეს ქალაქებს და დამთავრდება ვაშინგტონში.

ოფიციალური მონაცემებითაც კი, ინდიელები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უმცირესობათა შორის. ინდიელთა ორი მესამედი რეზერვაციებში ცხოვრობს. მათი თითქმის ნახევარი უმუშევარია. ინდიელთა 75 პროცენტი ღარიბ-ღატაკია.

შეხვედრა ბონში

ბონი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). აქ ფედერალური კანცლერის უწყებაში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივნის მ. კოლისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივნის ე. ბარის მორიგი შეხვედრა. როგორც ოფიციალურად გამოაცხადეს, მოლაპარაკების მსვლელობაში განიხილეს ურთიერთობის საფუძვლების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები.

თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადება

პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა პარიზში გამართული კონფიდენციალური მოლაპარაკების მესამე დღის დასასრულს გადაწყვიტეს კიდევ ერთ დღეს განაგრძონ საკითხების განხილვა. ეს გამოაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა.

გააკეთა რა ეს განცხადება, თეთრი სახლის წარმომადგენელმა უარი თქვა ხანგრძლივი მოლაპარაკების შინაარსის კომენტირებაზე, აგრეთვე არ მოისურვა ეცნობებინა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ შეიძლება დაიდოს შეთანხმება. (საკდესი).



ოცდაცხრა წლის წინათ 12 ოქტომბერს საბჭოთა ტერიტორიაზე შექმნილმა პოლონეთის აღორძინებულმა შეიარაღებულმა ძალებმა საბრძოლო ნათლობა მიიღეს ბელორუსიაში და პირველსავე ბრძოლაში გაანადგურეს გერმანელი ფაშისტები.

პოლონეთის შეიარაღებული ძალები აღჭურვილია თანამედროვე იარაღით, ფხიზლად დგას ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა სადარაჯოზე, ერთგული და საიმედო მოკავშირეა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე არმიებისა.

სურათზე: ტანკსაწინააღმდეგო ქვეგანაყოფი ცეცხლის ხაზზე.

ცაფ-საკდესის ფოტო.

ლონდონი

ჯაშუშობის ცენტრები

11 ოქტომბერი. (საკდესი). სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული 200-ზე მეტი ინგლისელი ჯარისკაცი და „ოფიცერი“ უთვალთვალებს ირლანდიელებს ოლსტერში. თვალთვალს ეწევიან, იუწყება გაზეთი დეილი „მირორი“, უმთავრესად კათოლიკურ გეტოებში, მაგრამ ზოგჯერ მისი ობიექტი პროტესტანტი მოსახლეობაც ხდება.

ბევრი სამხედრო აგენტის „საქმიანობა“ აღინიშნება სამხედრო ჯილდოებით. ახლა ადგენენ დაჯილდოებულთა ახალ სიებს. „ინგლისის ისტორიაში არმიას არასოდეს არ გამოუყენებია სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული აგენტები ისეთი მასშტაბით, როგორც ეს ამჟამად ხდება ოლსტერში“, — აღიარებს „დეილი მირორი“.

უაიტლოს რეჟიმის მოწინააღმდეგეთა თვალთვალის მიზნით ინგლისის სამხედრო ხელისუფლებმა ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში შექმნეს სავაჭრო წერტილები და ატრაქციონები, რომლებსაც ფარული აგენტები უწევენ მომსახურებას.

ერთ-ერთი ასეთი ჯაშუშური ცენტრი, რომელიც რამდენიმე თვეს მოქმედებდა ბელფასტში, შენიღბული იყო სამრეცხაოდ. სამხედრო აგენტები გულდასმით ამოწმებდნენ თეთრეულს — ეძებდნენ დენთის გაზებისა და სისხლის კვალს. ამ ანალიზების საფუძველზე „უშიშროების ძალებმა“ შემდეგ დააპატიმრეს ირლანდიელები.

მთავრობის წრეებთან დაახლოებული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აცხადებს, რომ, მიუხედავად მხილებისა, ინგლისის საოკუპაციო არმია განაგრძობს გადაცმული სამხედრო აგენტების ფართოდ გამოყენებას თვალთვალისა და ჯაშუშობისათვის ოლსტერის მოსახლეობის წინააღმდეგ.

ტოკიო

ნარკოტიკების კონტრაბანდა

11 ოქტომბერი. (საკდესი). ნარკოტიკების კონტრაბანდისა და გაყიდვისათვის დააპატიმრეს ოთხი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებიც მსახურობენ ამერიკის შეერთებული შტატების იოკოტის (ტოკიოს გარეუბანი) სამხედრო-საჰაერო ბაზაზე. ორ თვეში მათ ჰეროინის, მარიხუანის, ჰაშიშის გაყიდვის შედეგად მოიგეს დაახლოებით 11 მილიონი იენი.

იაპონიის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია ქვეყანაში ნარკომანიის ზრდის გამო. მარტო ამა წლის პირველ ნახევარში ნარკოტიკების კანონის დარღვევისათვის დაპატიმრებულია 3.300 კაცი, ერთიორად მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

ბუქარესტი

მდინარეები ადიდდა

11 ოქტომბერი (საკდესი). რუმინეთის სამხრეთ მაზრებში ხშირი წვიმების შედეგად ადიდდა მდინარეები ბუზეუ, არჯეში ოლტი, იალომიცა და სხვა მდინარეები და შენაკადები.

დაიტბორა ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა, დაზიანდა ჯებირები, ხიდები, მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. მიმოსვლა შეწყდა გზატკეცილებსა და რკინიგზებზე, გახიზნულია ათასობით ოჯახი.

როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, ადგილობრივმა პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა დარაზმეს მთელი ძალები წყალდიდობის შედეგების აღმოსაფხვრელად.

ნუაკშოტი

ეროვნული ერთიანობისათვის

11 ოქტომბერი. (საკდესი). მივაღწიოთ ნამდვილ დამოუკიდებლობას და განვამტკიცოთ ეროვნული ერთიანობა — ასეთია მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოქთარ ულდ დადას ეროვნული რადიოთი გამოსვლის ლაიტმოტივი. თავის გამოსვლაში პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მავრიტანიელი ხალხის პარტიის მიერ დასახული ნამდვილი დამოუკიდებლობის მიღწევის გზა იოლი როდია. მავრიტანია, განაცხადა მოქთარ ულდ დადამ, ითვალისწინებს, თუ რა სიძნელეები შეხვდება გზაზე ქვეყანას, რომელიც ესწრაფვის მოიშოროს დამოუკიდებლობის ხუნდები.

ჯ. მაკგოვერნის განცხადება

ვაშინგტონი. 11 ოქტომბერი. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე სენატორი ჯ. მაკგოვერნი გამოვიდა ტელევიზიით და გააკეთა ვიეტნამის ომისადმი მიძღვნილი განცხადება.

„ვიეტნამის ომი, — თქვა მან, — ჩვენი ერის ისტორიაში ყველაზე საძაგელი პერიოდად მიმაჩნია“. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ვცდილობთ მოვახდინოთ შეძლებული — „ვიხსნათ საიგონის პოლიტიკური რეჟიმი, რომელსაც თავისი ხალხიც კი არ სცემს პატივს“. სენატორმა აღნიშნა, რომ ამერიკა თუმცა გაიძახის, რომ გამოჰყავს თავისი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, მაგრამ უწინდებურად ჰყავს ნახევარი მილიონი სამხედრო მოსამსახურე წყნარ ოკეანეში, ტაილანდსა და გუამში, საიდანაც ისინი განაგრძობენ ომს ვიეტნამის წინააღმდეგ.

ინდოჩინეთში გაჭიანურებული კონფლიქტი, განაგრძო მაკგოვერნმა, ძვირი დაუჯდათ შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებს. მარტო 1969 წლის იანვრის შემდეგ განვლილ პერიოდში ინდოჩინეთში 20 ათასზე მეტი ახალგაზრდა ამერიკელი დაიღუპა. ყოველ კვირაში, თქვა მან, ეს ომი ამერიკელ გადასახადის გადამხდელს ართმევს 250 მილიონ დოლარს, რომლებიც ქვეყანას ესაჭიროება ქალაქების გარდაქმნის მიზნით სამუშაო ადგილების შესაქმნელად, დამნაშავეობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, სკოლების გასაუმჯობესებლად, ავადმყოფთა და ხანდაზმულთა დასახმარებლად.

ამერიკის საჰაერო ომმა იმსხვერპლა 6 მილიონზე მეტი ვიეტნამელი, რომლებიც დახოცეს, დაასახიჩრეს, ან აჰყარეს მშობლიური ადგილებიდან. „ჩვენს ბომბებს, — განაცხადა მაკგოვერნმა, — მათთვის თავისუფლება კი არა, საშინელება მოაქვთ. დაბომბვა მათ ქვეყანას კი არ შველის, არამედ „ანგრევს“.

მაკგოვერნმა მკვეთრად დაგმო მოღალატე თიეუს დიქტატურა, რომელიც „სამხრეთ ვიეტნამის ხალხს უფლებას არ აძლევს აირჩიოს თავისი მთავრობა“.

სენატორმა პირობა დადო, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვეტს მთელ დაბომბვასა და ძალის გამოყენებას ინდოჩინეთის ყველა რაიონში“. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები შეინარჩუნებს თავის ბაზებს ტაილანდში და თავის საბრძოლო გემებს ვიეტნამის რაიონში მანამ, „სანამ არ გაათავისუფლებენ ყველა ამერიკელ სამხედრო ტყვეს“.

ვარშავა

პოლონური ჟურნალი პეკინის ხელმძღვანელობის პოლიტიკის შესახებ

11 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალმა „იდეოლოგიამ და პოლიტიკამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც განხილულია პეკინის პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

1969 წლის მეორე ნახევრიდან, ნათქვამია სტატიაში, ჩინეთმა კვლავ დაიწყო ინტერესის გამოვლინება გარე სამყაროსადმი და თვითიზოლაციიდან გამოსვლა, რომელშიც იგი პეკინის ხელმძღვანელობის დამღუპველი კურსის შედეგად აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა განეხორციელებინა გარკვეული პრაქტიკული ცვლილებანი თავის პოლიტიკაში. ეს ცვლილებები ხდებოდა მწვავე საშინაო ბრძოლის პირობებში, რაც იწვევდა მორიგ კრიზისებს ჩინეთის ხელმძღვანელობაში.

ამ ტაქტიკისა და მეთოდების შეცვლა, ნათქვამია სტატიაში, არ ნიშნავდა პეკინის სტრატეგიული ხაზის გადასინჯვას; ჩინეთი კვლავინდებურად ილაშქრებს სოციალისტური ქვეყნების ყველა იმ სამშვიდობო ინიციატივის წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და გამალებული შეიარაღების შემცირებას.

მას უარყოფითი პოზიცია უკავია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის, საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების (ვიეტნამი, ახლო აღმოსავლეთი), აგრეთვე ყველა იმ ღონისძიების მიმართ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ევროპაში მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარებას. ჩინეთი უაღრესად კრიტიკულად მოეკიდა სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა დადებას, გაილაშქრა დასავლეთ ბერლინის შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ, აგრეთვე უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის წინააღმდეგ. ჩინეთში არ შენელებულა აგრეთვე ანტისაბჭოთა პროპაგანდა, რომელიც მიზნად ისახავს სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის სახელის გატეხვას.

თავის პოლიტიკაში სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ ჩინეთი ცდილობს უწინარეს ყოვლისა წაჰკიდოს ცალკეული სოციალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირს, ერთმანეთს; სხვანაირად რომ ვთქვათ — შიგნიდან შეასუსტოს სოციალისტური თანამეგობრობა.

ამრიგად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკა სსრ კავშირისა და მეტი წილი სოციალისტური ქვეყნების მიმართ არსებითად არ შეცვლილა, ხაზს უსვამს ჟურნალი. მეთოდებისა და ტაქტიკის გარკვეული შეცვლა, რომელიც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია პეკინის წინანდელი კურსის წარუმატებლობასთან, გამომდინარეობს იმ ცდებიდან, რომ განახორციელოს იგივე მიზნები, ოღონდ სხვა მეთოდებით.

პეკინი

გაცვლიან ელჩებს

11 ოქტომბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალონ ელჩები.

წინასაარჩევნო ბრძოლის ქრონიკა

ვაშინგტონი

11 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური მაქინაციები, ფარული გარიგებანი მოსყიდვა — ასეთია წინასაარჩევნო ბრძოლის დამახასიათებელი ნიშნები ამერიკის შეერთებულ შტატებში. წელს ყოველივე ამან ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანია, „წინასაარჩევნო ბრძოლის პატიოსნად წარმოების სამეთვალყურეო კომიტეტის“ აზრით, „ყველაზე ბინძური ხდება უკანასკნელი წლების მანძილზე“.

იმ მეთოდებს შორის, რომლებსაც ბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლები იყენებენ, დამახასიათებელი მაგალითია დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაზე თავდასხმის გახმაურებული ისტორია, რომელიც წელს ივნისში მოხდა ვაშინგტონის „უოტერგეიტის“ სასტუმროში.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, ოფიციალური გამოძიების შედეგად ახლა სარწმუნოდ დადგენილია, რომ ეს ინციდენტი, რომელსაც თან სდევდა მისაყურადებელი აპარატურის დადგმის ცდა, „ნაწილია პოლიტიკური ჯაშუშობის ფართო კამპანიისა, რომელიც თეთრი სახლის ოფიციალურ პირთა ხელმძღვანელობით მიმდინარეობს“.

გამოძიების მიზეზი გახდა ბრალდება, რომელიც დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ წაუყენა რესპუბლიკელებს იმის გამო, რომ წელს ივნისში მათი წარმომადგენლები თავს დაესხნენ დემოკრატთა შტაბ-ბინას „უოტერგეიტის“ სასტუმროში, რათა დაედგათ იქ მისაყურადებელი აპარატურა და წაეღოთ კონფიდენციალური დოკუმენტები.

„პოლიტიკური ჯაშუშობის“ საქმე ფართოდ გახმაურდა ქვეყანაში, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც პოლიტიკური კაპიტალის შეძენას ცდილობდა ამით, დაჟინებით მოითხოვდა გასამართლებას, რესპუბლიკელებმა კი, თავის მხრივ, დემოკრატებს ბრალად დასდეს „ბოროტგანზრახული“ მისწრაფება ჩირქი მოსცხონ მმართველ პარტიას პრეზიდენტის არჩევნების წელს. მაგრამ შემდეგ ორივე პარტიის ხელმძღვანელობა შეეცადა თავიდან აეცილებინა იმ აკრძალული და ბინძური ხერხების შესახებ ახალი მონაცემების გამოვლინების შესაძლებლობა, რომლებსაც ისინი მიმართავენ ძალაუფლების მოსაპოვებლად, და გადაწყვიტა შეენელებინა „უოტერგეიტის“ სასტუმროში მომხდარი სკანდალით გამოწვეული შთაბეჭდილება. რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ რ. დოულმა და მისმა კოლეგამ დემოკრატიული პარტიიდან ჯ. უესტვუდმა საჯაროდ მოაწერეს ხელი ვაშინგტონში ეგრეთ წოდებულ „პატიოსანი წინასაარჩევნო ბრძოლის წესებს“, რომლებიც მოუწოდებენ „ორივე მხარეს „თავი შეიკავონ“ არაეთიკური ხერხებისაგან“ წინასაარჩევნო ბრძოლის დროს.

მაგრამ ამ შეთანხმებას არ შეუცვლია წინასაარჩევნო ბატალიების ხასიათი. როგორც გამოიანგარიშა „წინასაარჩევნო ბრძოლის პატიოსნად წარმოების სამეთვალყურეო კომიტეტმა“, მარტო უკანასკნელი ხუთი კვირის განმავლობაში 20-ჯერ და მეტად სერიოზულად დაარღვიეს საარჩევნო კამპანიის წარმოების „წესები“, რაც ერთიორად მეტია, ვიდრე იყო 1966 და 1968 წლების წინასაარჩევნო კამპანიების დროინდელ შესაბამის პერიოდში.

კონსტანტინე გამსახურდია 80 წლისა

დიდოსტატი

ბარათი იუბილარისა



1972. [illegible]

მეგობართა სიტყვა

გულითადად ვულოცავ ძვირფას იუბილეს ქართველ მწერალთა ერთ-ერთ უხუცეს ოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას და ვუსურვებ ახალი წიგნებით გავეხარებინოთ.

ლეონიდ ლეონოვი.
ქ. მოსკოვი.

უდიდესი სიამოვნების გრძნობით მსურს მივესალმო გამოჩენილ ქართველ პროზაიკოსს, მივულოცო იუბილე. დიდი სიამოვნებით-მეთქი რომ ვამბობ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ განწყობილებისა, რომელიც აღმიძრა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებამ.

მიხეილ დუდინი.
ქ. ლენინგრადი.

კონსტანტინე გამსახურდია მხოლოდ საქართველოს, მხოლოდ კავკასიის, მხოლოდ საბჭოთა კავშირის დიდი მწერალი კი არ არის, იგი მსოფლიო მასშტაბის პროზაიკოსია. იგი ისეთი მარგალიტია, რომლის ნათება მთელს ქვეყანას სწვდება.

ყაისინ ყულიევი.
ქ. ნალჩიკი.

კონსტანტინე გამსახურდიამ ბრწყინვალედ იცის საქართველოს ისტორია და ასევე ბრწყინვალედ გადააქვს იგი პროზის სახეებში. მისი რომანები მახლობელია ჩვენთვის იმიტომაც, რომ ჩვენი ერებისათვის მსგავსი ბედიღბლის ნიშანსაც ატარებს. 80 წელი ეს თავისთავად უკვე გმირობაა, ვულოცავ და ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს, რადგან მისი ერთი შეხედვაც კი ირგვლივ ყველას სიცოცხლეს მატებს.

რასულ რზა.
ქ. ბაქო.

კონსტანტინე გამსახურდია ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის ერთ-ერთი ძლიერი ბურჯია. ჩვენ იგი შეგვაყვარეს ავეტიკ ისააკიანმა, ეღიშე ჩარენცმა და მეც მოხარული ვარ, რომ ამ წმიდა სიყვარულს ვეზიარე. როცა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას უახლოვდები, გრძნობ ისტორია მღერის, ისტორია გალობს მის რომანებში... ეს არის ერის სულის სიმღერა — წარმტაცი, ღრმა და საინტერესო.

აშოტ გრაში.
ქ. ერევანი.

კონსტანტინე გამსახურდია პროზის შევარდენია, მაღლა მფრენი, ლაღი, ძლიერი, შთამბეჭდავი...

არსენი ტარკოვსკი.
ქ. მოსკოვი.

მემატიანე ძველისა და ახლისა

კონსტანტინე გამსახურდია მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. მას მრავალი ახლო ნაცნობი და მეგობარი ჰყავს მარტო მწერალთა და მეცნიერთა წრეში კი არა, მევენახეებსა და მხვნელ-მთესველთა შორის, მეცხვარეებსა და მეჯოგეებში, ბევრჯერ გაუტეხავს მათთან პური, იალაღებზე გაუშლია სუფრა და მათთანვე უთენებია ღამეები ნაბადში გახვეულს; მისი რომანის პერსონაჟებს — პროფესორ ვახტანგ კორინთელსა თუ მეცხვარე აბრია უჯირაულს, ახალგაზრდა ბრიგადირს გოდერძი ელანიძესა თუ რაიკომის მდივანს ციხისთავს, ქალაქელ შოფერს კანკრესა თუ მეწისქვილე ნიორთავას — სოლომონ გულუხაიძეს, და კიდევ მრავალ სხვებს — ცოცხალი პროტოტიპები ჰყავთ, რომლებიც ჩვენ არაერთხელ გვინახავს არა მარტო „ვაზის ყვავილობის" ფურცლებზე, არამედ სტუმრად მისულნი კოლხურ კოშკშიც — მწერლის ოჯახში; კონსტანტინეს — ნახევარ მსოფლიო მოვლილს, ფეხით, ცხენით და მანქანით მოუვლია მთელი საქართველოს მთა-ბარი, მას გუდანის ხატის ყმის ჩოხაც ჩაუცვამს, რომ ხევსურებთან ერთად ესვა ლუდი და წიქახთან დოლში თუ ფარიკაობაშიც ეცადნა თავისი თავი.

კონსტანტინე მუდამ ხალხშია, ის ვერასოდეს ვერ სძლებს, გვერდით ვინმე თუ არა ჰყავს, რომ მძიმე და დამქანცველი შრომის შემდეგ გაესაუბროს, მოეფეროს, წაიღიღინოს მასთან ერთად... ყველაფერი ეს ჰქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ის ძალზე ნაცნობი და ჩვეულებრივი იყოს და მის წიგნებზე წერაც, განხილვა და შეფასება იმისა, რაც მას შეუქმნია — ადვილ საქმეს წარმოადგენდეს.

მაგრამ ეს ძნელზე ძნელი საქმეა.

აი, თქვენ დარჩით მის წიგნებთან მარტოდ... პირველივე სტრიქონებიდან ჩაგკიდებს ხელს მწერალი და წაგიყვანს ისტორიის შორეულ გზებზე... თითქოს სასწაული მოხდაო, შენს თვალწინ ისე ცოცხლდებიან საუკუნეები და ენას ამოიდგამენ, ლაპარაკს იწყებენ ათასი წლის წინ წასული აჩრდილები... არა, აჩრდილები კი არა, ნამდვილად ცოცხალი ადამიანები. და გეჩვენება, რომ ოცნებასა და ფანტაზიაში კი არა, მწერალი ნამდვილად თან წაჰყოლია სანადიროდ თრიალეთის მთებში სვეგამწარებულ გიორგი პირველს. წაჰყოლია გლახუნასა და პიპასთან ერთად, რათა შესწრებოდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს და მისი გულისმომკვლელი სამდურავი და ანდერძი გადაეცა მომავალ თაობათათვის. იმდენად ძლიერია აქ სიტყვის ძალა, იმდენად მართალია აქ მწერლის თვალი და განჭვრეტა, რომ იქმნება ილუზია, თითქოს კონსტანტინე ყოველივე ამას თვითონ შესწრებოდეს.

ბევრი რამ უნახავს მწერალს, ბევრი რამ... იქნებ ამიტომ არის ესოდენ დაქანცული მისი თვალის ქუთუთოები ფერწერულ პორტრეტებშიც და ფოტოებშიც... კითხულობ წიგნს და გჯერა, რომ მას თავისი სეხნია — თვითონ კონსტანტინე არსაკიძეც უნახავს და იცნობდა შორენასაც, იცნობდა ფარსმან სპარსსაც და არაერთ გზის შებრძოლებია მას ტრიბუნაზე არა მარტო მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, არამედ მეოცე საუკუნეშიც. მას თამარის თვალებიც ახსოვს, ან იქნებ გაახსენეს მთის მდელოს იმ ყვავილებმა, თამარის თვალები რომ ჰქვიათ და მინდიას ესვეწებიან — ნუ მამწყვეტო, მწერელთ ტყვეო მინდიავ!

შორია და თვალგადაუწვდენელი გზები, რომლითაც დაჰყავხარ მწერალს მისი წიგნების კითხვის დროს. თვითონ კი მუდამ შინ არის — ყველა საუკუნეში, ყველა ქვეყანაში, კოლმეურნის ოჯახშიც და გეგუთის ან ნაჭარმაგევის სასახლეშიც დავით აღმაშენებლის გვერდით... და კვლავ გეჩვენებათ, რომ მას — ახალგაზრდობის წლებში მოუსმენია არა მარტო ვილჰელმ ვუნდტისა და ბენო ერდმანის ლექციები, არამედ მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს იოანე იტალთან, იოანე პეტრიწთან ერთად უბრძოლნია კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში და მათთან ერთად გაქცევია ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენის მრისხანებას, რომელმაც ანათემას მისცა ეს დიდი ჰუმანისტები, მაშინ ერეტიკოსებს რომ ეძახოდნენ.

აბა, შესძლე და გადმოეცი ეს ერთი-მეორეზე აზავთებული ფიქრები, შთაბეჭდილებანი, წარმოსახვანი, სურათები ეპოქებისა, ქვეყნებისა, ადამიანებისა, მოძღვრებებისა, მთელ ხალხებს რომ აღძრავდნენ და ქვეყნიერებას აზანზარებდნენ... მათს გაცოცხლებას, ვიზიონურ ხილვას და დახატვას მართლაც დიდი და უბადლო მესიტყვის, მწერლისა და მოაზროვნის, პოეტისა და ფილოსოფოსის ფანტაზია სჭირდებოდა.

იშვიათია მწერალი, რომელსაც წარსულის ასეთ მძაფრ შეგრძნებასთან ერთად, თანამედროვეობის ესოდენ მახვილი აღქმა ჰქონდეს. კონსტანტინე გამსახურდია — საბჭოთა საქართველოს ცხოვრების შესანიშნავი მემატიანეა. მისმა „მთვარის მოტაცებამ" თვალწინ გადაგვიშალა 30-იანი წლების საქართველო, საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება, სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება ძველსა და ახალს შორის, მძაფრი გარდატეხები ყოფაშიც და ადამიანის სულშიც, გვიჩვენა ახლის, კომუნისტურის გამარჯვება.

„ვაზის ყვავილობაში" მთელი სისრულით გამოჩნდა რა განუზომელი ძალის შრომითი და მხედრული სიმამაცე შთააგონა ჩვენს ხალხს საბჭოთა ეპოქამ. აქ აღარაფერს ვამბობთ კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ნოველებზე, რომელთაც ეპოქა შექმნეს ქართული პროზის ისტორიაში, მის მშვენიერ ესეებზე, დიდად რომ აამაღლეს ქართული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზროვნების კულტურა.

ვუსურვოთ ქართული სიტყვის დიდოსტატს, ჩვენს საყვარელ მწერალს, ჩვენს მუდამ დაუცხრომელ კონსტანტინეს დღეგრძელობა და ახალი წარმატებები ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი.

კონსტანტინე გამსახურდია.

სურათი გადაღებულია 1972 წლის 11 ოქტომბერს. ლ. გინზბურგის ფოტო.

ყოველთვის მაღელვებს

პირველად კონსტანტინე გამსახურდიას 20-იანი წლების ბოლოს შევხვდი უკრაინის მაშინდელ დედაქალაქ ხარკოვში. მაშინ იგი ორმოცი წლისაც არ იყო, ახალგაზრდა, კოხტა, მოყვანილი, ენერგიითა და მომავლის რწმენით სავსე.

მან შემიყვანა პირველად ქართული პოეზიის დიდ სამყაროში. პირველად წამიკითხა, მაგრძნობინა და განმაცდევინა დიდი რუსთაველი. მას შემდეგ ქართველი ხალხი, მისი უძველესი და უმდიდრესი კულტურა ჩემი ცხოვრების, ჩემი შემოქმედების განუყრელი თანამგზავრი გახდა.

მივესალმები ჩემს გულითად მეგობარს, საუკეთესო ადამიანს, მამულიშვილს და მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს, ქართული პროზის ჭეშმარიტ რაინდს კონსტანტინე გამსახურდიას.

მიკოლა ბაჟანი,
შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

მხცოვანი რაინდი ქართული მწერლობისა

ყოველი ეპოქისა და ქვეყნის ხალხისათვის მეტადრე იმ მწერალთა სახელები იყო და არის ძვირფასი, ვინც მთელი თავისი შემოქმედება ეროვნული ღირსების გრძნობის განმტკიცებას შეალია, ვინც თავისი ერის სულიერი მშვენებისათვის დაშვრა, ვინც სიკეთის, ჰუმანიზმის, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის თესლს ალვივებდა. და თუ ვისმე, თანამედროვე მსოფლიოში, ამ მხრივ მშობელი ხალხის წინაშე ვალმოხდილად შეუძლია ჩათვალოს თავი, ერთ-ერთი მათგანია ქართული მწერლობის მხცოვანი რაინდი კონსტანტინე გამსახურდია.

კონსტანტინე გამსახურდიამ 50 წელზე მეტი ხნის მოღვაწეობის მანძილზე მთელი თავისი ზეგარდმო მომადლებული ნიჭი, ვაჟკაცური სული და ენერგია ქართულ მწერლობას შეალია და ამ მამულიშვილურ ასპარეზზე თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. მართლაც განსაცვიფრებელია, როგორ არ მოიღალა იგი მძაფრი ბრძოლითა და წვით სავსე შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე და დღესაც ეს ხანდაზმული და ამაყდარი მწერალი ასე ჭაბუკური გატაცებითა და ენერგიით, როგორც თვად იტყვის, ვითარცა იაკობი მრისხანე ღმერთს, ისე ეჭიდება ქართულ სიტყვას. ამ საოცარი ენერგიის დაუშრეტელ წყაროს იგი თავისი ერის განუზომელ სიყვარულში პოვებს.

იშვიათია ასეთი ღრმა ერუდიციის მწერალი. მარტო მისი ნოველები და რომანები იკმარებდა ამის დასტურად. მით უფრო საჩინოა იგი მწერლის ესეებში (კონსტანტინე გამსახურდია ხომ ჩვენში ამ ჟანრის შემომტანი, დამამკვიდრებელი და ბრწყინვალე ოსტატია), მრავალრიცხოვან წერილებში, სადაც საოცარ დიაპაზონს ამჟღავნებს. ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში გამოირჩეოდა იგი ცოდნის დაუშრეტელი წყურვილით, მერე პეტერბურგის და გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლობდა, ბერლინში მიიღო ხელოვნებათა მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მოიარა იტალია და საფრანგეთი. იქ, რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ეზიარა დიდ კულტურას, დიდ ხელოვნებას, მაგრამ არ დაბრმავებულა მათი ბრწყინვალებით, არ ვამხდარა დასავლური მწერლობის სატელიტი, არ მოწყვეტილა ეროვნულ ნიადაგს. „დიახაც, — ამაყად აცხადებს კონსტანტინე გამსახურდია, — ბევრი მისვამს შპრეს, სენას, მოსკვა რეკასა, ტიბრისა და ტემზის წყალი, მაგრამ ყველაზე მეტად მომირთმევია მტკვრისა და რიონისა. მითქვამს და ვიმეორებ: თადანკარა ნაციონალური მწერლობა იქ იწყება, სადაც უცხოთა ზეგავლენანი დაძლეულია. სხვაგვარ პრაქტიკას უცილოდ მივყავართ ეპიგონობისა და გაცვეთილი პროვინციალიზმისაკენ".

ისევე როგორც მისმა გმირმა „ვაზის ყვავილობიდან" — ევროპიდან ჩამოსულმა მეცნიერმა კორინთელმა ქართულ ვაზს შეალია თავისი სიცოცხლე, რაკი ამაში ხედავდა სიმბოლურად ერის ღონის სათავეს, სამშობლოში დაბრუნებულმა მწერალმა ქართულ სიტყვას უძღვნა თავისი სიცოცხლე, რადგან სამართლიანად იწამა იგი ერის უკვდავების მთავარ წყაროდ.

კონსტანტინე გამსახურდიას თავისი მტკიცე პოზიცია აქვს ქართულ საბჭოთა მწერლობაში. მას არასოდეს არ დაუხურდავებია თავისი ნიჭი წვრილმან საკითხებსა და უღიმღამო ბელეტრისტიკაზე. იგი უფრო ფართოდ უყურებდა საერთოდ ლიტერატურას და თავისი შემოქმედების დანიშნულებას. დრომ გაამართლა მისი პოზიცია და დღეს თითქმის ყველა მისი ნაწარმოები ქართული საბჭოთა მწერლობის უაღრესად საინტერესო და პრობლემურ ნაწარმოებად არის აღიარებული. მისი ნოველები და რომანები „მთვარის მოტაცება", „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენა", „დავით აღმაშენებელი", „ვაზის ყვავილობა" სამართლიანად არის მიჩნეული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებად.

მთელი შემოქმედება კონსტანტინე გამსახურდიასი ეროვნული კულტურის ნოყიერ ნიადაგზეა დამყნილი, იგი მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც ქართველი ხალხის შემოქმედებით სულს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია.

სწორედ ამითაც შეძლო მან მთელი ახალი ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურაში. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ, მიუხედავად დიდი ტრადიციებისა, მე-19 საუკუნის მთელი რიგი ბრწყინვალე მოთხრობებისა, ეპიკური ჟანრი, რომელიც მეოცე საუკუნეში ერთადერთად პროზის სინონიმად იქცა, არ იყო ჩვენში ისე მომძლავრებული, როგორც ეს ცივილიზებულ და დიდი კულტურის ქვეყანას შეეფერებოდა. ქართული პროზის აღორძინებას, თანამედროვე ქართული რომანის შექმნასა და დამკვიდრებას შეალია თავისი შემოქმედება კონსტანტინე გამსახურდიამ. ამ მხრივ მან განუზომელი დიდი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას. ჩვენ არ შეიძლება დავივიწყოთ კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავი ნოველები, თუნდაც „ზარები გრიგალში", „ქოხა გახუ", „დიდი იოსები", „ხოგაის მინდია", „ლილ", „ტაბუ", რომლებიც მსოფლიო ნოველისტიკის სიმაღლემდეა ასული, მაგრამ მაინც უფრო მნიშვნელოვნად იმიტომ მივიჩნევთ მის რომანებს, რომ ამით საფუძველი დაუდო ისეთ ჟანრს ქართულ მწერლობაში, ურომლისოდაც დღეს არც ერთი მნიშვნელოვანი მწერლობა არ არსებობს.

კონსტანტინე გამსახურდიას თვალთახედვის არეთან არასოდეს მოსცილებია ეროვნული ძირები, იგი ერთი პირველი ჭომაგთაგანი იყო ჩვენი დიდი წინაპრებისა იმ ცთომილების ჟამსაც, როცა ოციან წლებში საყმაწვილო სენად იქცა რუსთველის, ილიას, აკაკის, ვაჟას წმიდა სახელების უარყოფა. მაგრამ, ამასთანავე, მას სრული საფუძველი ჰქონდა მაშინვე ისიც განეცხადებინა საჯაროდ, რომ „როგორც პატრიოტი ქართული მწერლობისა, მე დღევანდელ დღეს ვამჯობინებ გუშინდელ დღეს". „ჟამის უსასრულო სრბოლაში — წერდა გამსახურდია — ჩვენმა ხალხმა შექმნა თავისი ეროვნული მწერლობა და ისტორია, თავისი ისტორიული პროზა და ფოლკლორი. ჩვენ ყოველივე ამას მემკვიდრენი ვართ, მაგრამ მუდამ იმის ცდაში უნდა ვიყვეთ ჩვენ დღევანდელებმა შეძლებისამებრ გადავაჭარბოთ კიდევაც ახდომილსა და აღსრულებულს და თვით შევქმნათ ჩვენი დიდი ეპოქის საკადრისი კულტურა სიტყვისა".

აი ამ დიდ მიზანს ემსახურებოდა კონსტანტინე გამსახურდია დღიდან სამშობლოში დაბრუნებისა. და თუ მისი პირველი რომანი „დიონისეს ღიმილი", სადაც ასე საინტერესოდ არის გახსნილი ზედმეტი, ნიადაგგამოცლილი ადამიანის ბედი, ან ზოგიერთი ნოველა ჯერ კიდევ სცოდავდა მოდერნისტული მწერლობისადმი ერთგვარი ხარკის გაღებით, სულ მალე ნოველებში და მერე კი ეპოქალურ რომანში „მთვარის მოტაცება" მწერალმა შეძლო დიდი მხატვრული ოსტატობით ჩაექსოვა თავისი გმირების ბედში მეოცე საუკუნის სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრების მთელი დრამატიზმიცა და ისტორიული გარდუვალობაც.

მწერლის ნოველები და პირველი რომანები, განსაკუთრებით კი „მთვარის მოტაცება", ცხადად მეტყველებენ იმაზეც, რომ უსაფუძვლო იყო მწერლის მისამართით გამოთქმული საყვედურები ისტორიული წარსულით თითქოსდა ზედმეტად გატაცების თაობაზე. ამ მთარული და მეხსიერებაში ჩაბეჭდილი აზრის გასაქარწყლებლად ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის პირველი შესანიშნავი მხატვრული ნარკვევები კოლხეთისა და რუსთავის გრანდიოზული მშენებლობებზე. ხოლო შემდეგ მან ქართული პროზა გაამდიდრა ისეთი მონუმენტური ტილოთი თანამედროვეობის თემაზე, როგორიც არის „ვაზის ყვავილობა", სადაც ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება წარმოსახულია ჭეშმარიტად დიდი მასშტაბებითა და განზოგადებით.

ერთი უმთავრესი დამახასიათებელი და ნოვატორული თვისება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისა ისიც არის, რომ მწერლის კვალი მხოლოდ ქართველი კაცის ცხოვრებას კი არ არის მიჯრებული, დიდ სივრცეებსაც სწვდება და ამით უკეთ წარმოაჩენს თანამედროვეობის მიერ მოტანილ სიახლეებს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს მისი ისტორიული რომანები წარმოადგენს: „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენა" და ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი". ეს ის მყარი ბალავარია, ურომლისოდაც საბჭოთა ისტორიული პროზის შემდგომი განვითარება უბრალოდ წარმოუდგენელია. მწერლის ნიჭის მრავალმხრივობამ, მისი დიაპაზონის შეუზღუდველობამ აქაც მეტყველად იჩინა თავი და ამით ქართველი მკითხველის მადლიერების გრძნობას საბოლოოდ მოუშალა საზღვარი.

ისტორიული რომანისტიკა მრავალგვარი დანიშნულებისაა და ამ ჟანრის მსოფლიო შედევრთა გახსენებითაც კი ავტორთა განსხვავებული მიზანდასახულობა ერთბაშად იჩენს თავს. კონსტანტინე გამსახურდიას თავისი საკუთარი პოზიცია აქვს და მისი ინტერესი ისტორიული წარსულისადმი ვიწრო, შეზღუდულ ჩარჩოებში ვერ მოთავსდება. როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, თუ ჩავუფიქრდებით, აშკარად სარწმუნო უნდა გახდეს ჩვენთვის ის მოსაზრება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანებიც უპირატესად თანამედროვეობის სამსახურს ისახავენ მიზნად. მის რომანებში ისე ცხოველადაა წარმოსახული, ისე კოლორიტულად და მსუყე ფერებით არის დახატული შორეული წარსულის სურათები, ისე სისხლსავსენი არიან ჩვენი წინაპრები, რომ თამამად შეიძლება მწერალი ისტორიული ყოფის მხატვრულ მემატიანედ გამოვაცხადოთ. მაგრამ მაინც კონსტანტინე გამსახურდიასათვის მთავარია ყოველივე ამაში თავისი დღევანდელი საფიქრალისა და საზრუნავის ჩაქსოვა. თვით ის ეპოქები, ისტორიული პირები, რომელთაც გვიცოცხლებს ავტორი, მათი მაღალი მიზნები და ვნებები აშკარად მიგვანიშნებენ იმას, რომ მწერალს თანამედროვე მკითხველებში ეროვნული ღირსების გრძნობის გაღვივება სწადია, ერის მთლიან ორგანიზმად შეკავშირების, შეუღლაბების იდეის ჩანერგვა სურს. წინაპართა ამ სანუკვარი ოცნების დღევანდელი ახდენის მთელი სიდიადეც უნდა გვაგრძნობინოს და მისი განმტკიცების წადილიც უკიდურესად მოგვძალოს, რომ ამ დიდებული საქმის დაუცხრომელი მოსურნეები გავხდეთ. სხვა თანამედროვე პრობლემებიც უხვად ამოიკითხება ამ რომანებში. იმდენად ძლიერად არის შემოქმედის ბედი აქცენტირებული „დიდოსტატის მარჯვენაში", რომ შეიძლება სულაც ეს იყოს მთავარი მასში. აკი თავად მწერალმაც შეუფარავად გვითხრა: „დიდოსტატის მარჯვენის" იგავურ ენას ჯერ მიუხვდნენ ზოგნი. სწორედ ეგა ვთქვი უპირატესად ამ რომანით, ხელოვნება თამაში როდია, არამედ დიდი და მძიმე მარტვილობა..."

კონსტანტინე გამსახურდიას მდიდარი შემოქმედების დიდი ღირსება, ჩვენდა საბედნიეროდ, მხოლოდ ქართველი მკითხველის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს. მწერალს ისევე კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი მკითხველები, როგორც მისი თანამემამულენი. კონსტანტინე გამსახურდიასათვის ეს ფართო ასპარეზიც ვიწრო გამოდგა და დღეს მისი სახელი ცნობილია ჩვენი დიდი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. მწერალს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი მსოფლიოში „დიდოსტატის მარჯვენამ", ამ ბრწყინვალე რომანმა, სადაც ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიაცა ჩანს და ხელოვნების დანიშნულების თუ ხელოვანის მაღალი მისიის ღრმა ფილოსოფიური გაგებაც. ასეთივე ტრიუმფი ელის მწერლის სხვა შესანიშნავ ნაწარმოებებსაც.

და კიდევ ერთი დაუფასებელი დამსახურება უნდა ითქვას კონსტანტინე გამსახურდიასი: იგი მუდამ იმ მცნებას მისდევდა და მისდევს, რომ „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა". მწერლის სახელი მუდამ წმიდა ლამპარად ენთება ქართველი ხალხის გულში, რადგან განუზომელია მისი ღვაწლი თანამედროვე ქართული ენის გამდიდრებასა და გამშვენიერებაში. კონსტანტინე გამსახურდიამ სიძველის იერი ამოარა ქართული ენის უბრწყინვალეს სათავეებს, დიალექტების ანკარა წყაროებით გაანოყიერა მწერლობა, ზღაპრის, მითოლოგიის, საერთოდ ქართული ფოლკლორის საუნჯეც უხვად მოიშველია, დაბოლოს „სიტყვის ოქრომჭედლობის" საკუთარი საოცარი უნარიც გამოამჟღავნა და ამ ჯადოქრული ნაჭდევით შექმნა ის ენა, რასაც კანონიერი სიამაყის გრძნობით უწოდებს ჩემი ენაო.

დიდოსტატმა კონსტანტინე არსაკიძემ თავისი სული ყველაზე საყვარელ არსებას შორენასაც კი ვერ მისცა, როდესაც მისი ლანდი სიკვდილის წინ მოეჩვენა, დაუჩოქა და შესთხოვა სული. ვერ მისცა, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი. ასევე შესწირა თავისი სული დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ენას, თავის შემოქმედებას, რითაც სიცოცხლეშივე უკვდავყო თავისი სახელი.

რა შეიძლება იყოს ამისი საზღაური. ამის საზღაურია რუსთაველის ლაურეატის სახელი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯილდო ქართველი მწერლისათვის. და ეს ჯილდო პირველს კონსტანტინე გამსახურდიას ერგო. რაც მთავარია, ამის საზღაურია ხალხის უკიდეგანო სიყვარული და ამ მხრივაც ბედნიერია ჩვენი იუბილარი. სიყვარულს იგი დიდიხანია გრძნობს და ეს სიყვარული თანდათან მთიდან დაგორებულ გუნდასავით სულ უფრო იზრდება, ძლიერდება და ისე გადაეცემა შთამომავლობიდან შთამომავლობას.

გურამ გვერდწითელი.

შთაგონების უქრობი ცეცხლი

ქართველი ერის სასიქადულო შვილის კონსტანტინე გამსახურდიას თანამედროვენი, დღევანდელი საქართველოს მოქალაქენი, ისე შევეთვისეთ და შევისისხლხორცეთ ამ ზეგარდმო შთაგონებული შემოქმედის სახელს, რომ დღეს ვეღარც კი წარმოგვიდგენია დრო, როცა იგი საქართველოში არ გაისმოდა.

ოთხმოცი წელი, ამ ჩვენს დიდებულ მწერალს და მოღვაწეს რომ შეუსრულდა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წინაშე თვალის ერთი დახამხამებაა, მაგრამ ნურავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ კ. გამსახურდიას ცხოვრებამ მისი სათაყვანო სამშობლოს მთელი ისტორია მოიცვა, დასაბამიდან ვიდრე დღემდე: ის თითქოს საქართველოსთან ერთად დაიბადა და მასთან ერთად აგრძელებს მარადიულ, ზღვარდაუდებელ სიცოცხლეს.

კ. გამსახურდიამ გრძელი გზა განვლო. ეს გზა ნარ-ეკლით იყო მოფენილი და არცთუ იშვიათად პირდაღებული უფსკრულების წინ მიემართებოდა. ძნელი და საშიში იყო ამ გზით სიარული, რომელიც შთამომავლობის სავალ გზად მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც ზედ ერის სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულმა დიდმა მამულიშვილმა გაიარა.

კ. გამსახურდია, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის მოქალაქეა, თავისი ერის ღვიძლი შვილია, ვისი გულის ყოველი ძარღვი მშობელი ხალხის ბედიღბალთან, მის წარსულთან, აწმყოსთან და ხვალინდელ დღესთან არის დაკავშირებული.

გაცილებით მცირე იქნებოდა მწერლის სახელმოხვეჭილი რომანების, მოთხრობების, ესეების და ასობით წერილის საზოგადოებრივი ღირებულება, მათი ყოველი სტრიქონი ადამიანის სიყვარულით და სამშობლოს კეთილდღეობისათვის, რაინდული შემართებით რომ არ იყოს გამსჭვალული.

ეს დიდი სულიერი მემკვიდრეობა, კ. გამსახურდიას მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება, ცარიელ ადგილზე, რასაკვირველია, არ შექმნილა. მას წინ უძღვის და საფუძვლად უდევს უძველესი, ძველი და ახალი ქართული მწერლობა, რომელიც თავისი არსებობის ათას ხუთას წელს ითვლის. ქართული მწერლობის უძველეს ფესვებზე და საერო და აგიოგრაფიული მწერლობის დიდ ტრადიციებზე სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, აქ მისი უშუალო წინამორბედების გახსენებაც კმარა. კ. გამსახურდია რომ მწერლობის სარბიელზე გამოდიოდა, საქართველოს ჯერ კიდევ თავზე ადგა მფარველი ღვთაება — დიდი ილიას აჩრდილი. ილიასა და მისი შეუდრეკელი თანამებრძოლების ეროვნულმა და საკაცობრიო იდეალებმა სამშობლოს სამსახურისათვის აღანთო მამულიშვილ მწერალთა ახალი თაობა. კ. გამსახურდია ერთი უპირველესი იყო ამ თაობაში და დღესაც ასევე რჩება. ნიკო ლორთქიფანიძესთან, მიხეილ ჯავახიშვილთან და სხვებთან ერთად მან ახალი ბრწყინვალება შესძინა ქართულ სიტყვას. ქართული პროზა მან იმ სიმაღლეზე აიყვანა, საიდანაც ბევრი რამ, რაც აქამდე არ ჩანდა და ქართველი მკითხველისათვის უხილავი იყო, ხელის გულზე გადაიშალა. ეს ის სიმაღლეა, რომელზედაც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი ასულან და თავისი ღვთაებრივი ნიჭიერებით, ჯოჯოხეთური შრომითა და ბრძოლის უნარით სამარადისო უკვდავება მოუპოვებიათ.

კ. გამსახურდიას რომანებსა და მოთხრობებში გაცოცხლდნენ გარდასული საუკუნეები, გაცოცხლდა გუშინდელი დღე ჩვენი ხალხის ცხოვრებისა. ეს დღეები და საუკუნეები მოვიდნენ ჩვენთან, რათა დღევანდელი დღის მხარდამხარ აშენონ საქართველოს მომავალი.

კ. გამსახურდიას მხატვრული სიტყვა სულიერად ამაღლებს შთაგონებულ მკითხველს, მას სიცოცხლის, წინააღმდეგობათა დაძლევის და ხვალინდელი დღის რწმენით ავსებს, სიკეთის, სამართლიანობის სულისკვეთებით, ბოროტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით ზრდის.

მე არა მსურს ამ მცირე მისასალმებელ წერილში ვახსენო და ცალკე გამოვყო კონსტანტინე გამსახურდიას რომელიმე ქმნილება. ეს ქმნილებები ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ქართველისათვის და არაქართველისათვის ცნობილია და ერთნაირად სანუკვარია, ვინაიდან მათ კაცობრიობის მაღალი იდეალებისათვის მებრძოლი მაღალნიჭიერი შემოქმედის ბეჭედი აზის.

სულითა და გულით მივესალმები ქართული მწერლობის პატრიარქს, უფროს მეგობარს, დიდ მწერალსა და მოქალაქეს კონსტანტინე გამსახურდიას მისი დაბადების 80 წლისთავზე.

რევაზ ჯაფარიძე.



სიყვარული, აღიარება

როცა მწერლის ფოსტას ათვალიერებ

კოლხური კოშკის შესასვლელთან, ჰიშკრის პირდაპირ ვეება მუხა დგას. მისი ძალუმი ტოტები სულ მაღლა და მაღლა მზისკენ მიიწევენ. შემოდგომამ მაინც თავისი გაიტანა, შემოუბერავს ქარი და მოფარფატებენ ხიდან შეყვითლებული ფოთლები. ბაღის პატრონის „ნებიერას" — დიდრონთვალება ნუკრიას ლობურში გული აღარ უდგება. მოუსვენრად დაფაჩუნებს.

შემოდგომის ჩუმი ჩურჩული მისწვდება თუ არა სარკმელს, აფორიაქებულ მწერალს შინ რაღა გააჩერებს, მზის გულზე გამოდის. ეფიცხება, მერე, ბილიკს შეუყვება. იქ ნუკრიას მიუალერსებს, ერთხელ კიდევ შეავლებს თვალს გაზაფხულზე დამყნილ ვაშლის ხეს, როგორ მომძლავრებია ყლორტები. აწი ვერც ყინვა დააკლებს რამეს. ბროწეულის ხუნძულას ჩამოსწყვეტს, რომ მერე თამარის ფრესკასთან დაჰკიდოს. და ასე ოთახშიც აღწევს შემოდგომის სუნთქვა, სევდიანი, მაგრამ ლამაზი ფერისცვალების შეგრძნება. მერე როცა ბაღის ბილიკებზე ხეტიალით დაიღლება— კონსტანტინე გამსახურდია ღია აივანზე მამაპაპურ საკარცხულში მძიმედ ჩაეშვება. თვალმოჭუტული გახედავს თბილისს... სადამდისაც კი თვალსაწიერი მისწვდება, დედაქალაქი გადაშლილა. სამშობლოს სიყვარულში ისე მხნედ აიარა ცხოვრების აღმართი, ვერც კი იგრძნო, როგორ გაფრენილა სიჭაბუკე. 80 წელი შეუსრულდა. ფიქრსა და განცდას, სიტყვასთან ჰიდილს მის კეთილშობილ სახეზე თავისი კვალი დაუმჩნევია, ადგილის დედის სიწმინდის მადლმა, კურთხეულმა ნიჭმა დედამიწაზე ისეთი ხნული გაავლებინა, რომელიც არასოდეს არ წაიშლება. მისი გმირები ამაყად დააბიჯებენ არა მარტო ჩვენში, არამედ ევროპის გზებზეც.

შებინდდა, ბაღში ჩრდილები ჩამუქდნენ, ბუხარში შეშა ტკაცუნებს, ნაპერწკლები ციცინათელებივით გაიელვებენ და ქრებიან. ვათვალიერებთ კონსტანტინე გამსახურდიას იმ ვეებერთელა ფოსტას, რომელიც მას წლების განმავლობაში მიუღია. ასობით — კონვერტი, ასობით წერილი, რამდენი მადლობა, რამდენი აღტაცება, რამდენი სიყვარული! კონსტანტინე გამსახურდიას სწერენ საქართველოს ყოველი კუთხიდან, თითქმის ყოველი ქალაქიდან და სოფლიდან. აგერ ახლა მოვიდა მოლოცვის ბარათები, დეპეშები, რომლებითაც დაბადების 80 წლის ულოცავენ ქართული პროზის პატრიარქს. ციურიხიდან ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობრები ქართველოლოგები, **ლეა ფლური, იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი** ქართულ ენაზე აი რას სწერენ იუბილარს — **„ნება გვიბოძეთ თქვენი დაბადების 80 წლის დღისთვის გისურვოთ ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა. მრავალს ხიკეთეს დაესწარით თქვენი ოჯახის წრეში".**

„დიდოსტატის მარჯვენის" გერმანულ ენაზე მთარგმნელი პროფესორი **გერტრუდა პეჩი** ასევე ქართული ბარათით ესალმება: „მე თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემელი ვარ. მიხარია, რომ „დიდოსტატის მარჯვენა" გერმანელმა მკითხველმა შეიყვარა".

ავტოგრაფებით დამშვენებული ადრესი და საპატიო სიგელი გამოუგზავნეს მას უკრაინელმა მწერლებმა — **„თქვენი დაბადების დღეს ძველი უკრაინული ჩვეულებისამებრ გისურვებთ იყოთ ჯანმრთელი, როგორც წყალი, მდიდარი, როგორც დედამიწა, ლამაზი, როგორც მზე, თქვენ გულმხურვალე თაყვანისმცემელთა სასიხარულოდ".**

ამ რამდენიმე წლის წინათ ერევნიდან მწერალმა ერთი უბრალო, მაგრამ დიდი სიყვარულით დაწერილი ბარათი მიიღო. **ლეონ მკრტიჩიანი** აი როგორ მიმართავდა დიდ ქართველ მწერალს. **„ჩემს სიცოცხლეში არა მქონია თქვენ წერილზე უფრო ძვირფასი რამ. გმადლობთ, გავიგეთ, რომ წელს სომხეთში აპირებთ ჩამოსვლას. გვერწმუნეთ, თქვენი სახით საქართველო იქნება ჩვენი სტუმარი".**

ინგლისელ სტუდენტს, პროფესორ დავიდ ლენგის მოწაფეს **ელისაბედ ფულერს** „დიდოსტატის მარჯვენის" წაკითხვის შემდეგ საქართველოში ჩამოსვლა გადაუწყვეტია. მან ამაღელვებელი წერილი გამოუგზავნა კონსტანტინე გამსახურდიას — **„ამას წინათ წავიკითხე თქვენი „დიდოსტატის მარჯვენა", რომელმაც დიდი სიამოვნება მომანიჭა. ეს არის უაღრესად დამაჯერებელი და შესანიშნავად დაწერილი ისტორიული რომანი, რომლის მსგავსი არცერთ ენაზე არ წამიკითხავს. ამ ნაწარმოებმა ქართული ენის შესწავლის სტიმული მომცა".**

დიდი სომეხი მხატვარი **მარტიროს სარიანი** კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ ასე წერდა: — **„ამ კაცში საოცრად არის შერწყმული მამაპაპური კერის საუკუნოვანი ტრადიციები და ჩვენი დროის სული. ეს არის მარადიული მხედარი და ამავე დროს მაღალი რანგის მოაზროვნე".**

ქართველოლოგი უილიამ ედუარდ **დავიდ ალენი** (ირლანდია) გულთბილ ბარათს უგზავნის კონსტანტინე გამსახურდიას: **„მე და ჩემი მეგობრები აღტაცებულნი ვართ თქვენი „დიდოსტატის მარჯვენით".**

ამ ცოტა ხნის წინათ შვეიცარიაში დაისტამბა წიგნი „კავკასიური მოთხრობები", რომელშიც შევიდა „ხოგაის მინდიაც". ამ მოთხრობის შესახებ კრიტიკოსი კურტ ჰოჰოფი წერს: **„ნაწარმოებში ბუნება მაგიური რეალობაა, მშვენიერ ჯადოქრობასთან წილნაყარი. აქ ისეთ სიმაღლეზეა აყვანილი ბუნების ხოტბა, რომლის მსგავსს ცოტას შეხვდებით. მოთხრობის გმირები თანამედროვენიც არიან და ამავე დროს წარსულის ეგზოტიკით ამაღლებულნიც. ვიგრძენით, რომ ქართული კულტურა მარტოოდენ სამუზეუმო სიმდიდრე როდია, არამედ ცხოველმყოფელობაა, ჟამთა წიაღიდან აღმოცენებული".**

მწერალმა შვეიცარიიდან მიიღო აგრეთვე გაზეთი „ლუცერნენ ნოიესტეს ნახრიხტენი", სადაც ისევ „ხოგაის მინდიაზეა" ლაპარაკი **„ეს ახალი ქართული მოთხრობის აღმოჩენაა და მითებისა და საგების მკვლევართათვის ნამდვილ საუნჯეს წარმოადგენს".**

კონსტანტინე გამსახურდიას წერილებს უგზავნიან ქართველოლოგი დავიდ ლენგი, გერმანელი მწერალი ალფრედ კურელა, ფრანგი მხატვარი ჟან დორვილი. ცოტას თუ ხვდება ღირსება „ლუმანიტე დიმანშის" ფურცლებზე დასტამბულიყოს მისი ნაწარმოებები. „დიდოსტატის მარჯვენა" ერთი წლის მანძილზე გაგრძელებებით იბეჭდებოდა ამ სახელგანთქმული ფრანგული გაზეთის ფურცლებზე.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის" ჰინდურ ყდაში ჩასმული ხელნაწერი წიგნი მიართვეს მცხეთელმა მოსწავლეებმა, ხოლო ქალაქ პროკოპიევსკის მცხოვრებლებმა ქართველი მწერალი საპატიო მოქალაქედ აირჩიეს და, ჩამოიტანეს პროკოპიევსკის გასაღები, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო საპატიო სტუმარს.

პროფესორი ვ. რესენთინი ტომსკიდან წერს — **„ღრმესი მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენმა „დიდოსტატის მარჯვენამ" მომანიჭა.**

კონსტანტინე გამსახურდიას უძღვნიან ლექსებს და უპატიჟებიან თავიანთ რესპუბლიკაში, თავიანთ ქალაქში, თავიანთ სოფელში ყაზახები. უკრაინელები, ბელორუსები, მოსკოველები, ლენინგრადელები. ყოველდღე მოდის ბარათები დედამიწის ყოველი კუთხიდან.

როგორ გაიზარდა „დიდოსტატის მარჯვენის" გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები. ჯერ კიდევ 1957 წელს ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ (რენე დომეკის თარგმანი) დასტამბა ფრანგულ ენაზე ეს მშვენიერი ნაწარმოები, შემდეგ უცხოური ლიტერატურის გამომცემლობამ მოსკოვში ბენგალურ ენაზე დაბეჭდა იგი. (მთარგმნელები ინდოელი მწერლები ცოლქმარი შუბჰამოი გჰოში და მისი მეუღლე შუპრია გჰოში). ამავე გამომცემლობამ 1961 წელს ვახტანგ ერისთავის თარგმანით ინგლისურად გამოუშვა „დიდოსტატის მარჯვენა", შემდეგ ჩინურად თარგმნა იგი ლი ტიმ, ხოლო რუმინულად ვიქტორ კერმბახმა, გამომცემლობა „კულტურ უნდ ფორტშრიტმა" გერმანული თარგმანი შესთავაზა თავიანთ მკითხველებს (მთარგმნელი გერტრუდ პეჩი), რომანი ამღერდა ჰინდი და ურდუ ენებზე, ითარგმნა ესპანურ და ჩეხურ ენებზე. ხოლო 1970 წელს პროფესორ დავიდ ლენგის მეთაურობით მთარგმნელთა ჯგუფი შეუდგა „დავით აღმაშენებლის" ინგლისურ ენაზე თარგმნას. მალე „მთვარის მოტაცება" იაპონურად ალაპარაკდება.

მწერლის დიდი სიყვარულის, მისი შემოქმედების ჭეშმარიტი აღიარების ამაზე უკეთესი მაგალითი ძნელია კიდევ იპოვნოთ.

კოლხური კოშკის შესასვლელთან ჰიშკრის პირდაპირ ვეება მუხა დგას. მისი ძალუმი ტოტები სულ მაღლა და მაღლა მიიწევენ.

ნანა ჯაფარიძე.

დაბა ვანი. აქ, რესპუბლიკის პატარა სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრში არის დღეს საქართველოში ერთადერთი სასოფლო სამხატვრო სკოლა, სადაც ქანდაკების, ჭედურობისა და ფერწერის განყოფილებებზე რაიონის 70 უფროსკლასელი სწავლობს. ნორჩი მხატვრების წარმატებებზე მეტყველებენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მიღებული 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედლები. სკოლის აღზრდილთა ნახატები, სურათები, ჭედური გრავიურები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იაპონიასა და შვეციაში გამართულ გამოფენებზე ექსპონატთა შორის იყო. სკოლას ხელმძღვანელობს მოქანდაკე დიმიტრი ყიფშიძე.

სურათზე: რაიონული ცენტრის გზას ამშვენებს სოფლის ნორჩი მოქანდაკეების ნამუშევრები.

ა. საკოევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თუ შენი ქალაქი გიყვარს

◆

სად გავრეცხოთ ავტომობილი?

ქალაქში ჭუჭყიანი ავტომობილით გავლა ადრეც აკრძალული იყო, მაგრამ ბოლო დროს ამ წესის შესრულებას ავტოინსპექციის მუშაკებმა ხელი მკაცრად მოჰკიდეს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მანქანა თანამედროვე ქალაქის სახისა და იერის, მისი საერთო შესახედაობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

დღეს ლამაზი ქუჩა წარმოუდგენელია, თუ ზედ გაკრიალებული ავტომობილი არ მიდის. ისე რომ განკარგულებას, რომელიც კრძალავს ჭუჭყიანი მანქანის ქუჩაში გავლას, უთუოდ უნდა მივესალმოთ. უფრო მეტიც, მანქანის მფლობელი თუ თბილისის პატრიოტია, თუ მას თბილისი უყვარს, რა თქმა უნდა, მის სილამაზეზეც იზრუნებს.

ეს ყველა მანქანის მფლობელის ვალია.

მაგრამ მივაკითხოთ ქალაქის ავტოსამრეცხაოებს და დავითვალოთ, თუ ერთბაშად რამდენი მანქანის მომსახურება შეუძლიათ...

მოქალაქეთა კერძო მფლობელობაში, როგორც ქალაქის ავტოინსპექციის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ზ. ხატელიშვილმა შეგვატყობინა, 20 ათასამდე მანქანა ყოფილა, ხოლო ერთ დღეში, გვეუბნება ავტოტექმომსახურების სამმართველოს უფროსი ა. მიქაუტაძე, სამრეცხაოებს შეუძლიათ მხოლოდ 3 ათასს მოემსახურონ.

ცოტაა.

17 ათასი მანქანა გაურეცხავი დარჩება, თუნდაც რიგში დაელამონ. ამასთან ერთად ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეზოებში და ქუჩებში მანქანის რეცხვა აკრძალულია, თუმცა ეს წესიც წამდაუწუმ ირღვევა, იხარჯება ძვირფასი სასმელი წყალი. კეთილი მეზობლები თვალს ხუჭავენ, წუწუნებს ერიდებიან, ზოგნი კი ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

ცხადია, უნდა აშენდეს ახალი სამრეცხაოები, რომლებიც ტექნიკური წყლის გამოყენებით ბევრ სასმელ წყალს დაზოგავენ (დღეს თბილისში ტექნიკურ წყალს მხოლოდ ერთი მექანიკური სამრეცხაო იყენებს).

სიტყვა ეკუთვნით, თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს და ავტოტექმომსახურების სამმართველოს.

ზ. რცხილაძე.

სასამართლო დარბაზიდან

□

გამოუსწორებელი ხულიგანი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ჯემალ ბელქანიას მუშაობა ჭირისდღესავით ეზარებოდა, სამაგიეროდ ლეფში სადაც გარახუნდებოდა, იქ გაჩნდებოდა და მაგრად გამოთვრებოდა. იმ დღესაც ფეხზე ძლივს იდგა, ბარბაცებდა, ფეხსაცმლის სახელოსნოში შევიდა, ერთ-ერთ ხელოსანს აუხირდა, აგინა, ტანისამოსიც შემოახია. შეგროვილმა ხალხმა ხულიგანს წესრიგისკენ მოუწოდა, მათაც უწმაწური სიტყვებით გაუმასპინძლდა. და მხოლოდ მაშინ კი იკადრა გაქცევა, როცა წესრიგის დამცველი შენიშნა.

რამდენიმე საათის შემდეგ სახელოსნოს წინ „ტაქსი" გაჩერდა. მანქანიდან დანამომარჯვებული ჯ. ბელქანია გადმოვიდა, მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა დაიჭირეს. ჯ. ბელქანიას ხულიგნობისათვის ადრე 5 წელი ჰქონდა მისჯილი.

ცხაკაიის რაიონის სახალხო სასამართლომ გაარჩია ლოთი, გამოუსწორებელი ხულიგნის ჯ. ბელქანიას საქმე და სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ბ. მილიუტინი.

ციმბირში ალოობაა. მიმდინარეობს მოსავლის აღება. პური წელს აქ მძიმეა. პირდაპირი და გადატანითი აზრით. პური ბევრია, მაგრამ მისი აღება ისე ძნელია, როგორც არასოდეს არ ყოფილა.

მაშინ, როცა დონზე, ყუბანსა და ვოლგაზე — ჩვენი ქვეყნის პურის ძირითად რაიონებში — მთელი ზაფხული მეტად გვალვიანი იყო და ნათესები ამოიწვა (გაიხსენეთ ხანძრები მოსკოვის ოლქში, რომლებზეც ასე ბევრს წერდნენ გაზეთები), დასავლეთ ციმბირში, ურალიდან ენისეიმდე, ზაფხული არსებითად არა ყოფილა. განუწყვეტლივ წვიმდა, ვერცხლისწყლის სვეტი იშვიათად ადიოდა ოც გრადუსზე ზემოთ. ტენის სიჭარბისა და სითბოს ნაკლებობის გამო პური ნელა მწიფდებოდა, მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში გახდა შესაძლებელი მისი მკა. მაგრამ სამაგიეროდ მოსავალი ისეთი იყო, როგორიც ამ მხარეში არ ახსოვთ.

დაისახა ამოცანა აილოთ იგი მთლიანად, უდანაკარგოდ, რომ ამით აენაზღაურებინათ გვალვის შედეგები ევროპულ ნაწილში. **სწორედ ამიტომ მკის დაწყების წინ ყაზახეთი, ალტაი და დასავლეთი ციმბირი ინახულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. იგი ომსკის ოლქშიც იყო.**

ომსკი ციმბირის ძველი ქალაქია. იგი დგას ციმბირის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მდინარის ირტიშის შუა დინებაზე. ოლქი უზარმაზარია. მის ჩრდილოეთით მარადიული ტაიგაა, ხოლო სამხრეთით, ყაზახეთის საზღვართან გადაჭიმულია უნაპირო ველები. დიდი ხნის მანძილზე ამ სივრცეებში მხოლოდ ქარი დათარეშობდა. სისხლჭარბი, მჩქეფარე ცხოვრება აქ არსებითად მოვიდა მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა წარმოებდა ყამირი მიწების ათვისება. სწორედ მაშინ შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა „პობედა".

უკვე საღამოვდებოდა, როცა დირექციის შენობას ვუახლოვდებოდით. ბნელ შენობაში მხოლოდ ერთი ფანჯარა იყო განათებული. მე მის შუქზე წავედი. ოთახში იჯდა მამაკაცი და რაღაცას წერდა. საანგარიშოზე ითვლიდა, შემდეგ კვლავ წერდა.

— რა, მეტი არავინ არის? — ვკითხე მე.

მამაკაცმა ჩემსკენ მოიხედა და დიდხანს ფიქრობდა, თითქოს გონებაში ამთავრებდა თავის გაანგარიშებებს.

— რვა საათზე კრებაა. ყველანი იქნებიან, — გვიპასუხა ბოლოს მან და ისევ აიჩხაკუნა საანგარიშო, მე საათს დავხედე, რვა საათამდე ორმოც წუთზე მეტი იყო...

— მოდი, მანქანა დახურე, წავიდეთ ვიახშმოთ, — ვუთხარი იურას, შოფერს. ჩვენი „ვოლგა" დარჩა დირექციასთან და ბნელაში თეთრად მოჩანდა. მე და იურა კი ქუჩას გავუყევით. გზაზე შემოგვხვდა ჯარისკაცების ჯგუფი.

— ბიჭებო, სად არის აქ სასადილო? — შეეკითხა იურა, როდესაც დავუახლოვდით.

— ტამ, — ხელის აქნევით, თან ისეთი ქართული აქცენტით გვიპასუხა ერთმა ჯარისკაცმა, რომ მე უცებ შევჩერდი. მეორე ჯარისკაცი კი ეტყობა ლაპარაკს განაგრძობდა და ბოხი ხმით ქართულად ამბობდა ბნელაში: „მე ოჯახაშენებულო, რა დროს ძილია. წამო, ცოტა გავისეირნოთ.

— მოღლილი ხარ, — დაღლილი ხმით უპასუხა წვრილხმიანმა, — ფეხზე ძლივს ვდგევარ.

და აქ ვეღარ შევიკავე სიხარული და შევძახე: „ქართველებს გაუმარჯოს!"

ახლა იურა დარჩა გაკვირვებული. მან პირი დააღო. მაგრამ ჯარისკაცებსაც ნაკლებ როდი გაუკვირდათ. შემომეხვივნენ გარშემო, ხელს მართმევდნენ და მეკითხებოდნენ: „საიდან ხარ? ვინ? როგორ?"

გავესაუბრე. გამოირკვა, რომ ყველა ისინი შოფრები არიან დასავლეთ საქართველოდან. და აქ ისინი პურის აღებაზე მუშაობენ. ვილაცამ გაიხსენა, რომ ჩვენ სასადილო ვიკითხეთ, და რამდენიმე ჯარისკაცი გამოგვყვა. სასადილოში ბევრი ხალხი იყო, გაისმოდა ქართული, მეგრული ლაპარაკი, ზუსტად რომ არ მცოდნოდა, ახლა ირტიშიდან ექვს კილომეტრზე ვარ-მეთქი, უეჭველად გადავწყვეტდი, რომ ზუგდიდსა თუ აბაშაში ვიმყოფებოდი.

სასადილოში კაშკაშებდა ნათურები, ჩვენ ვიყავით თბილოდა, ცივი ქუჩის შემდეგ მომეჩვენა, რომ ცხელოდა კიდეც, და ამასთან მშობლიურ სახეებს ვხედავდი. ვინ მაგიდას უჯდა, ვინ რიგში იდგა, ქალიშვილებს — ომსკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შორის. ისინიც მოსავლის აღებაზე ჩამოსულან.

საათის ისარი რვას მიუახლოვდა. ბოდიში მოვიხადე და დირექციაში გავიქეცი. სამუშაო სამუშაოა. „პობედის" დირექტორი ანდრია მიხეილის-ძე ლავრინენკო უკვე იჯდა თავის კაბინეტში. მე გამოვეცნაური.

— კარგი საქმეა, — ჯაილიმა მან, — თორემ ყველა კორესპონდენტი მხოლოდ „ერმაკში" მიდის, მარცვალს კი ჩვენ მეტს ჩავაბარებთ.

„ერმაკი" მეზობელი საბჭოთა მეურნეობაა. მარცვლის ჩაბარების მხრივ იგი პირველ ადგილზე გამოვიდა, რაც ლავრინენკოს, რა თქმა უნდა, აფიქრებდა. — მათ „სარატოველი" აქვთ, ჩვენ კი „მილტურნი", იგი ერთი კვირით უფრო გვიან შემოდის. ჩვენ ეს-ეს არის ახლა ავამუშავეთ, თავს იმართლებდა და ამავე დროს თითქოს იქადნებოდა დირექტორი.

— აქ თქვენთან ბევრი ქართველია, — თითქოს სხვათა შორის ვთქვი მე.

— კი! მიპასუხა ლავრინენკომ.

— მერე როგორ? კარგად მუშაობენ?

— ძალიან კარგად! ისინი რომ არ გვყოლოდა, რა გვეშველებოდა. ძალიან ყოჩაღი ბიჭები არიან!

უნდა ვაღიარო, რომ შიშით ველოდი პასუხს. ხომ შეიძლება სხვა პასუხი მომესმინა. „პობედაში" შემთხვევით მოვხვდი, ჩვენებურებიც შემთხვევით ვნახე, მაგრამ დირექტორისაგან მათი ქება რომ მოვისმინე, მაშინვე გადავწყვიტე: „აუცილებლად დავწერ ამის შესახებ".

ლავრინენკომ პატარა ფურცელი გამომიწოდა. მას უშვებს მოსავლის აღების რაიონული შტაბი. ფურცელი საუკეთესო შოფრებისადმი იყო მიძღვნილი. სამი საუკეთესო შოფრიდან ერთი საქართველოდან არის.

აი მის შესახებ რა წერია:

„მოწინავე მძღოლი კომკავშირელი ზოჩია ქიქიკოს-ძე თოდუა შრომობს მარცვლის მიტანაზე საბჭოთა მეურნეობა „პობედას" კალოდან პურის მისაღებ პუნქტზე. დიდი ხატვირთო მანქანა „კოლხიდით" ათ დღეში 400 ტონაზე მეტი პური გადაზიდა, გააკეთა 9100 ტონა-კილომეტრი. დღიურ დავალებებს კომკავშირელი 200 პროცენტით ასრულებს".

ფურცლიდან შემომცქეროდა ლამაზი ლიასახიანი და დაფიქრებულთვალებიანი ჭაბუკი. ძალიან მინდოდა მას შევხვედროდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. რეისიდან რომ დაბრუნდა, შუაღამე იყო გადასული. ხოლო დილის შვიდ საათზე, როცა კალოზე მივედი, მითხრეს, ზოჩია უკვე ერთი საათია ელევატორზე წავიდაო.

ვაჟა ლვინიანიძემ, მათმა ხელმძღვანელმა, ინჟინერ-ქიმიკოსმა ქუთაისის ლითოფონის ქარხნიდან, მიამბო, რომ ზოჩია შოფერია, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხიდან. წელს მან უკვე გამოიჩინა თავი პურის აღებაზე და შეუფერხებლად გადაზიდა 1104 ტონა მარცვალი.

დილიდანვე ლავრინენკოსთან ერთად გავემგზავრეთ საბჭოთა მეურნეობის მესამე განყოფილებაში. აქ განყოფილების გამგესთან ერთად ვითარების შესახებ მოხსენებას აბარებდა აქ მომუშავე **ანატოლი პერტაია.** პერტაიას დაწითლებული, ანთებული თვალები ჰქონდა.

— მერამდენე ღამეა არა სძინავს, საიდან აქვს ამდენი ძალა, — აღტაცებით მიამბობდა შემდეგ განყოფილების გამგე შევჩენკო, — მისი მეოხებით გრაფიკი უფრო ცუდად როდი სრულდება, ვიდრე რკინიგზაზე. ამოწმებს ყოველ მანქანას, რომ გადაფარებული ჰქონდეს ბრეზენტი, რათა გადატანის დროს მარცვალი ძირს არ ცვივოდეს.

ანატოლი პერტაია მუშაობს სამონტაჟო უბნის უფროსად ზუგდიდში.

მესამე განყოფილება ორიოდე საათში მოვიარეთ. უნაპირო მინდვრებია, კომბაინებით მოფენილი. ხუმრობა ხომ არ არის, საბჭოთა მეურნეობას 32 ათასი ჰექტარი ნათესი აქვს. გზებზე მიმოდიან სატვირთო მანქანები. თვითსაცლელ მანქანებს მარცვალი მიაქვთ კალოზე, ხოლო იქიდან ელევატორზე ესტაფეტას იღებენ „კოლხიდები". **ბევრი კარგი სიტყვა მოვისმინე წელს ქუთაისის სატვირთო მანქანების შესახებ.**

აი გზიდან მინდორზე შემოუხვია „ზილმა". ჩვენსკენ მოდის. კაბინის ზემოთ შევამჩნიე პატარა წითელი დროშა. **„ეს იმას ნიშნავს, რომ საუკეთესო მძღოლია",** — მიხსნის ლავრინენკო. როცა მანქანა იმდენად მოგვიახლოვდა, რომ ნომერი გამოჩნდა, შევჩენკომ მითხრა: **„ეს დავიძეა".**

დავიძე — **დევიძე** ამოიჩნდა მახარაძის რაიონიდან. შოფერს გიგლა დევიძეს ყოველდღიურად 75 ტონა მარცვალი გადააქვს.

— მძიმე სამუშაოა? — ვკითხე მას. გიგლას კაბინა კარგია, საქარე მინის ზემოთ დამაგრებულია მისი ცოლისა და შვილების — ბიჭისა და გოგონას ფოტოსურათები. გიგლამ მხრები აიჩეჩა: „სამუშაო — სამუშაოა".

ამ მოკლე პასუხში გამოჩნდა ნამდვილი მშრომელი ადამიანი. მას არ დაუწყია მაღალ მატერიებზე ლაპარაკი, მიპასუხა მოკლედ და გარკვევით: „სამუშაო — სამუშაოა". და მე მივხვდი, რომ ამ ადამიანს უბრალოდ ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება მუშაობა სხვანაირად, უგულოდ მუშაობა.

როცა მანქანა მარცვლით აივსო და გიგლა წავიდა, მე ვუთხარი შევჩენკოს:

— იგი დავიძე კი არა, დევიძეა.

— რა უჭირს, დიდი განსხვავება არ არის.

— დიდია, — გავიცინე მე. — დავიძე იქნებოდა სიტყვა დავითიდან, დევიძე კი სიტყვა დევიდან არის.

შევჩენკომ გაკვირვებით შემომხედა, ჩანდა არ ესმოდა.

— დავითი სახელია, — ავუხსენი მე. — ხოლო დევი ქართულად ძლიერს ნიშნავს.

— ის მართლაც ნამდვილი დევია, — გაიცინა ლავრინენკომ. — ისე მუშაობს, რომ ვერ დაეწევი. ყოჩაღი ბიჭია. დილაობით წელამდე იხხამს წყალს. თვითონ მე დამინახავს. ნამდვილი ციმბირელია.

ამ დღეებში ომსკის ოლქში ტემპერატურა დილაობით 2-3 გრადუსი სითბო იყო. ასეთი ტემპერატურა მახარაძეში ზამთრობით ყოველთვის კი არ არის ხოლმე. ომსკში, რომელიც სულ 150 კილომეტრზეა „პობედის" ჩრდილოეთით, 30 სექტემბერს თოვლი მოვიდა. ყამირ ველებშიც ზამთარი ყოველ დღეს შეიძლება მოვიდეს. აი რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, რომ პურის აღება მოასწრონ, აი რატომ აქვს ოქროს ფასი თვითეულ დღეს, თვითეულ საათს.

საღამომდე დავიარებოდი მინდვრებში, კალოებზე, ვიყავი პურის მიმღებ პუნქტებში. და მუდამ ვხვდებოდი ჩვენებურ ბიჭებს. ვის ორიოდე სიტყვას ვეტყოდი, ვის მხოლოდ შორიდან შევნიშნავდი. მე მქონდა სპეციალური დავალება „ეკონომიჩესკაია გაზეტასი", სადაც ვმუშაობ, ჩემებურებთან შეხვედრა მოულოდნელი იყო, მაგრამ მე დაკვირვებით ვადევნებდი მათ თვალს. **უნდა ვთქვა, რომ საქართველოდან წარგზავნილმა ასმავე ვაჟკაცმა საუკეთესოდ გამოიჩინა თავი. ეს ჩემი აზრიც არის და ყველა იმათიც, ვისთანაც ლაპარაკი მომიხდა.**

და აი რა მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო. ქართველი მძღოლები არა მარტო დაეხმარნენ დროზე და უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი საბჭოთა მეურნეობა „პობედაში". **მათ ხომ ციმბირს გააცნეს ნამდვილი საქართველოც.**

საღამოს, გამოთხოვებისას, ლავრინენკომ გამომიწოდა იმათი სია, ვინც გასულ დეკადაში გაიმარჯვა შეჯიბრებაში და წარდგენილია პრემიაზე საბჭოთა მეურნეობის მატერიალური წახალისების ფონდიდან. სიაში იყვნენ: **ვაჟა მაღლაკელიძე, შოთა ძაგნიძე, მურმან ვაშაყმაძე, ტრისტან ტაბაღუა, დავით სახურია.**

— იცით, — მითხრა ლავრინენკომ, — როცა გავიგე, რომ ჩვენთან ქართველები იმუშავებენ, პირველად შემეშინდა. ჯერ ერთი, სამხრეთელი ხალხია, ჩვენს ჰავას მიუჩვეველი. შემდეგ, მომიტევეთ კი, ჩვენთან ციმბირში ხომ ქართველებს უფრო ხშირად სად შეხვდებით? ბაზარზე.

დიდხანს ვისაუბრეთ. მე ვუამბე, როგორ რწყავს თავისი ოფლით ვენახებს კახელი გლეხი, ვათენებიდან გათენებამდე როგორ კრეფენ ჩაის ფოთოლს პლანტაციებში მკრეფავი ქალები. ლავრინენკო დაფიქრებული მისმენდა, შემდეგ თქვა: **„ეს მართალია, მუშა ადამიანი ყველგან მუშა ადამიანია. მიწა უშრომლად არაფერს არ იძლევა. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ამ ბიჭების შემხედვარემ ყველა ქართველი შევიყვარე. დამენანება მათთან დაშორება. ისინი თითქოს დაგვენათესავნენ".**

ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო ჩემი ნაამბობი. ისინი ყველაზე უკეთ გვიამბობენ, თუ რა კვალი დატოვა ციმბირში საქართველოდან ჩასულმა ასმა ჭაბუკმა.

ვალერი ქაჯაია.

ომსკის ოლქი, ნოვო-ვარშავსკის რაიონი

• • •

სურათზე: ზ. თოდუა.

ასი ჭაბუკი

საქართველოს წარგზავნილთა გმირობა მოსავლის აღებაზე ციმბირში

ერთა ტურნირზე

მოჭადრაკე ქალები ზეიმობენ გამარჯვებას

სკოპლე, 11 ოქტომბერი. (საქდესი). საბჭოთა მოჭადრაკე ქალებმა გაიმარჯვეს მსოფლიო ოლიმპიადაში! მეექვსედ მონაწილეობდნენ ისინი უდიდეს საჭადრაკო ასპარეზობაში და მეექვსედ დაიმსახურეს ოქროს ჯილდო. ფინალური შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა პირველი ადგილი გაინაღდეს — მეექვსე ტურში ისინი გფრ-ის გუნდს შეხვდნენ და ჯერ კიდევ შესვენებამდე დაამარცხეს მეტოქენი — 2:0. გაფრინდაშვილმა მოუგო ლააკმანს, ხოლო ლევიტინამ — კარნერს. სსრ კავშირის ნაკრებმა ათი ქულა მოაგროვა. უნგრელ მოჭადრაკეებს, რომლებიც მეორე ადგილზე არიან, 6,5 ქულა აქვთ (1 პარტია გადადებულია).

წარმატებით გამოდის ჩვენი ვაჟთა გუნდიც. მეცამეტე ტურში საბჭოთა დიდოსტატები ესპანელებს ეთამაშებოდნენ და გაიმარჯვეს 3,5:0,5. სმისლოვმა დაამარცხა მედინა, ტალმა — ტორანა, კარპოვმა — ვიზნერი, ხოლო კორჩნოიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პომართან. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოაგროვეს 37 ქულა, მათთან ერთად ოქროს მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ უნგრელი მოჭადრაკეები — 36 ქულა და იუგოსლავიის გუნდი — 32,5 ქულა.

მერვე ტრადიციული

დღეს თბილისში იწყება მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა მერვე ტრადიციული პირველობა. მასში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის და მონღოლეთის უძლიერესი არმიელი გროსმაისტერები და ოსტატები.

„პარკ დე პრენსზე" მატჩის წინ

პარიზი, 11 ოქტომბერი. (საქდესი). საფრანგეთის რადიო, ტელევიზია, პრესა დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის მომავალ პირველ ოფიციალურ შეხვედრას. ეს იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის 1974 წლის შესარჩევითი მატჩი ფეხბურთში და შედგება 13 ოქტომბერს პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე.

გაზეთი „პარიზიენ ლიბერე" დღეს ათავსებს სტატიას, რომელიც აცნობს მკითხველებს მსოფლიოს „ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფეხბურთო სახელმწიფოს — სსრ კავშირს". ფეხბურთის საბჭოთა ფედერაცია, წერს გაზეთი, აერთიანებს ხუთ მილიონამდე მოთამაშეს. გაზეთში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ტარდება სსრ კავშირის ჩემპიონატი და მიუთითებს, რომ ამჟამად ლიდერია ვოროშილოვგრადის „ზარია". „პარიზიენ ლიბერე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარიზში ჩამოდის ძლიერი გუნდი და ფრანგებმა, თუ მოგება სურთ, დიდი ოსტატობა და შეუპოვრობა უნდა გამოიჩინონ.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შესახებ, რომელიც პარიზში ითამაშებს, ლაპარაკობს „ლუმანიტეს" საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში მაქს ლეონი. იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა გუნდში შედის 16 მოთამაშე, რომელთა ნაწილი ოლიმპიურ ტურნირში გამოდიოდა.

მომავალი მატჩისადმი ინტერესს მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი „პირდაპირ" გადაიცემა ტელევიზიით. ეს კი საფრანგეთში მეტად იშვიათი მოვლენაა.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „დინამო" და „ლოკომოტივი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

სამი მოგება

ევროპის პირველობაზე ბურგასის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა მესამე წრეში დამაჯერებლად დაამარცხა იტალიის გუნდი ანგარიშით — 93:37. უნგრელებმა მოუგეს იუგოსლავიას — 64:46, რუმინელმა კალათბურთელებმა ერთი ქულის სხვაობით — 47:46 სძლიეს პოლონეთის ნაკრებს.

საბჭოთა კალათბურთელებმა სამი თამაშიდან სამივე მოიგეს და თავიანთ ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერები არიან.

სპორტი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — სკოლების დასახმარებლად. დაწყებითი კლასები („თვალით ნანახი, და ყურით გაგონილი"), 10.30 — მხატვრული ფილმი „მამილო", 12.05 — სკოლების დასახმარებლად: დაწყებითი კლასები („თვალით ნანახი და ყურით გაგონილი" (განმეორებით), 12.30 — სატელევიზიო ფილმი — „პირველად ესტრადაზე", 17.05 — ლექციები აბიტურიენტთა დასახმარებლად — ქიმიაში, 17.50 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.35 — ახალი ამბები, 18.40 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი უფროსი მეგობარი", 19.00 — „პოლიტიკური ენციკლოპედია", 19.30 — „ჩემი სოფელი მოქვი", 19.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — კონსტანტინე გამსახურდია (დაბადებიდან 80 წლისთავის გამო), 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „დამნაშავე ჩის უემბლის სტადიონზე" (I სერია), 23.50 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში საბჭოთა კავშირი-იუგოსლავია (ქალები) გადაცემა ბულგარეთიდან.

მეორე პროგრამით

17.05 — განცხადებები, 17.10 — სკოლების დასახმარებლად — კლასგარეშე მეცადინეობა ქიმიაში, 17.55 — ხაზვა (მეშვიდეკლასელთათვის, დაგეგმილების მეთოდების ზოგადი მიმოხილვა), 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მასალათა გამძლეობაში, 19.40 — პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში".

13 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.05 — დოკუმენტური ფილმი „მეგობრის გვერდით", 12.30 — მხატვრული ფილმი „მაისის ვარსკვლავები", 16.35 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექციები მათემატიკაში, 17.20 — ფიზიკაში, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი. „შემოდგომა ილმენში", 18.25 — „აზებსა და გზაჯვარედინებზე", 18.45 — „ძიება, აღმოჩენა, პრობლემა", 19.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ეროვნული კავშირი" — ტაჯიკეთის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალი დროის გუთნისდედები, 22.40 — კინონარკვევი, 23.00 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — განცხადებები, 17.10 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა (რუსული სკოლების მე-10 კლასელთათვის), 17.55 — ფიზიკა (ამოცანების ამოხსნა, მეშვიდე კლასის ფიზიკის კურსი), 18.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 19.40 — სკკპ ისტორიაში, 20.40 — მხატვრული ფილმი „ანტრაციტი".

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-05, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-68, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04664

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.